საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, ცოგიცაც ბეჭდვუბი სიტყვაა, ცყუილებით და ჭიტებით ბუბთის გაფანა ყველა უკანისკნელზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 31 აგვისტო. 2023 წ. №99 (9631) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ქართული ყველასთვის ქართულია!

ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელება მთავრობის უფლებამოსილებაა და არა პრეზიდენტისა!

საძართველოს მთავრობა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გუშინ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, **სალომე ზურაბიშვილს გერმანიაში ვიზიტზე საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 2023 წლის 3 აგვისტოს ოფიციალურად, წერილობით ეთქვა უარი.**

ასევე მთავრობის ადმინისტრაციის განცხადებაში საუბარია სხვა ვიზიტებთან დაკავშირებითაც, რომლებზეც სალომე ზურაბიშვილის უარი ეთქვა.

„გვსურს, გამოვეხმაუროთ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაგეგმილ ვიზიტთან დაკავშირებით. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საქართველოს მთავრობას აღნიშნულ ვიზიტთან დაკავშირებით წინადადებით 2023 წლის 12 ივლისს მიმართა, რაზეც საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 2023 წლის 3 აგვისტოს ოფიციალურად, წერილობით ეთქვა უარი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის თანახმად.

ასევე, პრეზიდენტს ოფიციალურად, წერილობით ეთქვა უარი 22-24 აგვისტოს უკრაინაში, 16 სექტემბერს – შვეიცარიის კონფედერაციაში, 2-3 ოქტომბერს – პოლონეთის რესპუბლიკაში, 4-6 ოქტომბერს – ბელგიის სამეფოში, 31 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით – დანიის სამეფოსა და 1-2 დეკემბერს – არაბთა გაერთიანებულ საამიროებში სამუშაო ვიზიტებზე. სალომე ზურაბიშვილს ასევე უარი ეთქვა 27-29 სექტემბერს – ბულგარეთის რესპუბლიკაში, 10-12 დეკემბერს – ჩეხეთის რესპუბლიკაში და 18-20 დეკემბერს – ისრაელის სახელმწიფოში ოფიციალურ ვიზიტებზე.

შევახსენებთ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში, ვინაიდან კონსტიტუციის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელება საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებაა“, – ნათქვამია მთავრობის ადმინისტრაციის განცხადებაში.

გუშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, სალომე ზურაბიშვილი 31 აგვისტოდან ევროპელ ლიდერებთან შეხვედრებს იწყებს. მათივე ცნობით, შეხვედრები კანდიდატის სტატუსს უკავშირდება.

მშვიდობით!

გმადლობთ ამ „სიყვარულისთვის“, ქალბატონო დეგნან!

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, ქალბატონი კელი დეგნანი გვემშვიდობება. გვემშვიდობება გულაჩუყებული, ჩვენზე სიყვარულით თავბრუდახვეული, ქართველებითა და ჩვენი ტრადიციებით აღფრთოვანებული, ჩვენი კულტურითა და ლიტერატურით სულიერად ამაღლებული... დაუმთავრდა ვადა ჩვენი ჭკუის სწავლებისა, თითის ქნევისა და შეგონებისა, დაუმთავრდა კი არა ისე „ვუყვარვართ“, თვეებიც გადაცილა კიდეც, გამოსამშვიდობებელი უსტარიც გვაახლა. შე კაი დედმამიშვილო, თუ ასე გიყვარდით, რაღას გვალანძღინ-გვათათხინე თავი... უმაღლესმა დიპლომატმა, თანაც სტრატეგიული ქვეყნისამ, ალბათ ჩვენზე კარგად უწყოდა დიდი დავით გურამიშვილის შეგონება – ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილიო და მიტომაც... არადა, თავისი უსტარი, წმინდა ილია მართლის „აჩრდილით“ დააბოლოვა, თანაც რა სიტყვებით...

„გარდმომევლინა ყოვლად შემძლეში
ქვეყნისა ამის სიკეთის რწმენა,
აღმიფრთოვანა მან ოცნებები
და განმიწმინდა ხედვა და სმენა.“

გმადლობთ ამ „სიყვარულისთვის“ ქალბატონო დეგნან! თანაც თქვენეული, დიპლომატიური „გულახდილობისთვის“ – **ამერიკასა და საქართველოს აერთიანებს დამოუკიდებლობის ჟინი, შემოქმედებითი სული, თანაგრძნობა და მამაცური გამძლეობაო!**

(დანარჩენს ჩვენი მკითხველი მეორე გვერდზე იხილავს).

ეკა კლინ სირბაძე

ინმამორია – გოგი ხარაბაძე

იხ. 7 გვ.

ირინა ნიკოლაიშვილი

ძალიან საფრთხილოა, რომ ბავშვებს არ წავართვათ ბავშვობა და ისინი არ აღვზარდოთ მხოლოდ მაღალი ელიტარული ნორმებით



იხ. 8 გვ.

გვარეგბის წინამძღოლთა დარბაზის გვერდი

მაჭარაშვილების გვარმა დიდი წვლილი შეიტანეს მაცხოვრის აღდგომის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში (თბილისი აფრიკის დასახლება)

იხ. 6 გვ.

რას მოგვითხრობს მაჭარაშვილების საგვარეულო მატიანე?!

თამარ კიკნაძე: ანტირუსული განწყობები საქართველოში მიზანმიმართულად იქმნება, რაც ჩვენს ქვეყანას არაფრით წაადგება!

მთავრობის სადაგი დღეები

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის სხდომა გაიმართა.

ფსიქოლოგები სტიქიით დაზარალებულებს დაეხმარებიან

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა 23 საკითხი განიხილეს.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, განსახილველ საკითხთა შორის იყო საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის საფუძველზეც შოვში მომხდარი სტიქიით დაზარალებული პირები, ამ ტრაგედიის დროს გარდაცვლილთა და დაკარგულთა ოჯახის წევრები მაღალკვალიფიციურ ფსიქოლოგიურ დახმარებას მიიღებენ.

მათივე ცნობით, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, მათთვის შეთავაზებული მომსახურებები მოიცავს ფსიქოლოგის კონსულტაციას, ფსიქოთერაპიულ სეანსებს. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის კონსულტაციას და მის მიერ დანიშნული მედიკამენტების ანაზღაურებას. აღნიშნული სერვისები ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და ხელმისაწვდომია როგორც თბილისში, ისე რეგიონებში შესაბამისი სერტიფიკატების მქონე ცენტრებსა და დაწესებულებებში.

ილტო ალაზნის აუზს შეაფასებს

„მთავრობის წევრებმა ასევე განიხილეს საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი მდინარე ილტოზე ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავის მშენებლობის შესახებ.

განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ილტოს წყალსაცავის მშენებლობისთვის წინასწარ ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას განახორციელებს. ილტოს ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავს ისტორიული მნიშვნელობა ექნება. განხორციელდება ილტოს წყალსაცავის მშენებლობის განახლებისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, წყალსაცავის მშენებლობის სრული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის ჩათვლით.

მორწყვის სეზონზე მოხდება მდინარე ალაზნის აუზში არსებული წყლის დეფიციტის შევსება, ამასთან, წყალუზრუნველყოფა გაუმჯობესდება ქვემო და ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის 40 000 ჰექტარ ფართობზე“.

მასწავლებლის ეროვნული დღე პედაგოგთა დაფასებაა

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მასწავლებლის ეროვნული დღე დაწესდება.

ახალი ინიციატივის თანახმად, საზოგადოებაში პედაგოგების როლის ხაზგასმის, მათი დაფასებისა და მასწავლებლის პროფესიის მნიშვნელობის ასამაღლებლად, ყოველი წლის 27 ოქტომბერს ქართველი პედაგოგის, საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტის, საბავშვო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს აღინიშნება მასწავლებლის ეროვნული დღე.

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით ყოველწლიურად, საზოგადოებისა და განათლების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ღვაწლმოსილ პედაგოგებს გადაეცემა მასწავლებლის ეროვნული პრემია, სპეციალურად შექმნილი სამკერდე ნიშანი და ფულადი ჯილდო 10 000 ლარის ოდენობით.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი გამოსამშვიდობებელ წერილს აქვეყნებს, რომელშიც იგი საქართველოში გატარებულ სამწელიწადნახევარს იხსენებს და ქართველ ხალხს მადლობას უხდის.

კელი დეგნანი:

ამერიკასა და საქართველოს პარტნიორებს დამოუკიდებლობის ჭინი, შემოქმედებითი სული, თანაგრძნობა და მამაცური გამძლეობა

კელი დეგნანის წერილს უცვლელად გთავაზობთ:

ჩემს ძართველ მეგობრებსა და პარტნიორებს,

საქართველოში სამწელიწადნახევრის წინ ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვალეობის შესასრულებლად ჩამოვედი, რომ აქ აშშ-ის ელჩის რანგში ამერიკელი ხალხის წარმომადგენელი ვყოფილიყავი.

საქართველო არის ხანგრძლივი და მდიდარი ისტორიის მქონე ქვეყანა, რომელიც ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე იწრთობოდა. ეს არის ტრადიციებზე მდგომი უნიკალური კულტურის ქვეყანა, სულში-ჩამწვდომი პოლიფონიით, ანბანის ნატიფი მონასმებითა და ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და რუსთაველის პროზითა და პოეზიით განთქმული. ეს არის ძლევამოსილი მდინარეების, თვალუწვდენელი ზურმუხტისფერი ველების, ჭალების, ტყეებისა და დამატყვევებელი მთის მწვერვალების ქვეყანა.

აქ ყოფნისას ვისწავლე, რომ ქართველები, ამერიკელების მსგავსად, თავიანთი ქვეყნის გაერთიანების, დაცვისა და გაძლიერებისთვის ჩაგვრას ებრძოდნენ. საუკუნეების განმავლობაში ქართველებმა შეინარჩუნეს თავისუფლება, რწმენა და ღირებულებები, რომელიც ქართულ იდენტობას განსაზღვრავს. ეს საერთო ღირებულებები და ტრადიციებია, რომელიც ჩვენ გვაერთიანებს: დამოუკიდებლობის ჟინი, შემოქმედებითი სული, თანაგრძნობა და მამაცური გამძლეობა.

შთაგონებული ვარ შეუპოვრობით იმ მრავალი ქართველისა, რომლის გაცნობის პატივიც მხვდა წილად. ამ შეუპოვრობამ განაპირობა საქართველოს შთამბეჭდავი პროგრესი და გარდასახვა ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, რომ გაცოცხლებულიყო პრინციპები, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო ეფუძნება დღეს თუ ასზე მეტი წლის წინ: თანასწორობა, სამართლიანობა, დემოკრატია. ეს იგივე პრინციპებია, რომლის დაცვასაც შეერთებული შტატები ესწრაფვის. ამიტომ დგას ამერიკა ქართველი ხალხის გვერდით, რომ ევროპული ინტეგრაციის გზით მიაღწიოთ თქვენს მიზანს უფრო მეტი სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის.

„ძალა ერთობაშია“ – მართლაც ზედგამოჭრილი დევიზია საქართველოსა და ამერიკისთვის!

როდესაც საქართველოში გატარებულ ჩემს ხანმოკლე პერიოდზე ვფიქრობ, ჩემი მოგონებები აწყობს იმ შთამაგონებელი ხალხის სახეების მოზაიკას, რომლებმაც გამიზიარეს ჩვენი პარტნიორობისა და პროგრესის პირადი ისტორიები: იქნებოდა ეს გაცვლითი პროგრამის მონაწილე, რომელიც თავისი თემის გაუმჯობესების იდეებს წარადგენდა, მეცნიერი, რომელიც COVID-თან ბრძოლის საერთო ძალისხმევაზე გვიყვებოდა, მშობელი, რომელიც ადვოკატირებას უწევდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის საჭირო სერვისებს, მასწავლებელი, რომელიც ახალგაზრდებს კრიტიკულ მიდგომას ასწავლიდა ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა დეზინფორმაცია და პოლარიზაცია.

ასეთი ძალიან მევრია კიდევ.

რყევებისგან დასაცავად დემოკრატიული ინსტიტუტების გამტკიცებით, იმედისა და ოპტიმიზმის სხივით, საქართველოს ევროატლანტიკური მედისწერისკენ ურყევი სვლით – აღტაცებული ვარ იმ ყველაფრით რაც ქართველმა ხალხმა გააკეთეთ და რასაც მომავალში გააკეთებთ თქვენი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულის გამო და თქვენი შეუპოვრობის გამო, რომ საქართველომ მიაღწიოს ნათელ, დემოკრატიულ მომავალს, რომელიც ქართველებს გსურთ და ასე უხვად იმსახურებთ.

ვემშვიდობები რა იმ ძალიან, ძალიან მევრ ქართველს, რომელმაც თავისი სახლის კარი და გული გამიღო, ჩემი გული სავსეა მადლიერებითა და უდიდესი პატივისცემით. მიუხედავად იმისა, რომ მივდივარ, თან მომაქვს ძალიან მევრი სიყვარული და მეგობრობა ჩემი ძვირფასი მეგობრებისგან მთელი საქართველოდან. ეს იყო დიდი პატივი, რომელსაც ყოველთვის დავაფასებ, მემსახურა შეერთებული შტატების ელჩად ამ ლამაზ ქვეყანაში.

როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობს „აჩრდილში“:

„გარდმომევლინა ყოვლად შემძლები
ქვეყნისა ამის სიკეთის რწმენა,
აღმიფრთოვანა მან ოცნებები
და განმიწმინდა ხედვა და სმენა.“

უსაზღვრო მადლიერებით,

კელი დეგნანი

აშშ-ის ელჩი საქართველოში.

გაერთიანებულ სამეფოსთან ორმხრივი თანამშრომლობა ნაყოფიერი ხდებდა და კვლავაც გაგრძელდება



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაერთიანებული სამეფოს საპარლამენტო დელეგაციას შეხვდა, რომელსაც თემთა პალატაში საქართველოს საკითხებზე მომუშავე ინტერპარტიული საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე – ჯონათან ჯანოგლი ხელმძღვანელობს.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობის ძირითადი მიმართულებები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, საქართველო და გაერთიანებული სამეფო ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში ნაყოფიერად თანამშრომლობენ. ბოლო დროს განხორციელებული მაღალი დონის ვიზიტები კი ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური დიალოგის მაღალ დონეს უსვამს ხაზს. მთავრობის მეთაურის თქმით, საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ ერთი მკაფიო დასტურია.

განსახილველ საკითხებს შორის იყო ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარება. მთავრობის მეთაურმა ჯონათან ჯანოგლის ეკონომიკური ზრდის დადებითი ტენდენციების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის სავაჭრო და ეკონომიკური მიმართულებით არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გამყარებისა და განმტკიცების აუცილებლობაზე იმსჯელეს. საუბარი შეეხო რეგიონსა და მსოფლიოში არსებულ უსაფრთხოების გარემოს და გამოწვევებს. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, არსებული გამოწვევების ფონზე, გაერთიანებული სამეფოსა და საქართველოს შორის უსაფრთხოების სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესია.

შარლ მიშელმა ევროკავშირის გაფართოების კონკრეტული თარიღი დაასახელა

დროა, თავი დავაღწიოთ გაურკვევლობას...

ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა **შარლ მიშელმა** სლოვენიაში ბლედის სტრატეგიულ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას ევროკავშირის გაფართოების აუცილებლობაზე საუბრისას კონკრეტული თარიღი დაასახელა და განაცხადა, რომ ევროკავშირიც და მომავალი წევრი სახელწიფოებიც 2030 წლისთვის უნდა მოემზადონ. გაფართოებაზე საუბრისას მიშელმა უკრაინა, მოლდოვა და საქართველო დაასახელა.

„გასული წლის ივნისში უკრაინას და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიენიჭათ. იგივე სტატუსი ელის საქართველოს, როდესაც ისინი დაასრულებენ აუცილებელ ნაბიჯებს. ამდენად გაფართოება არ არის ოცნება, წინსვლის დროა. კიდევ მეტი გასაკეთებელი. ეს იქნება რთული და ზოგჯერ მტკივნეულიც, მომავალი წევრი სახელმწიფოებისთვის და ევროკავშირისთვისაც. მჯერა, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ – ორივე მხრიდან – 2030 წლის გაფართოებისთვის. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის გრძელვადიანი მიუჯეტი უნდა შეიცავდეს ჩვენს საერთო მიზნებს, ეს არის ამბიციური, მაგრამ აუცილებელი. ეს აჩვენებს, რომ ჩვენ სერიოზულად ვართ განწყობილი. ეს რეფორმებს იმპულსს შესძენს“, – განაცხადა შარლ მიშელმა.

მანვე აღნიშნა, რომ გაძლირებისა და დაცულობისთვის ევროკავშირს სჭირდება გაფართოება:

„იმისათვის, რომ გახდეს უფრო ძლიერი და დაცული, ევროკავშირს სჭირდება კავშირების გაძლიერება და ძლევამოსილად ქცევა, ამიტომაც დადგა დრო დავკავდეთ გაფართოების გამოწვევით. ჩვენთვის ევროკავშირისთვის და ჩვენი მომავალი წევრი სახელმწიფოებისთვის. დიახ, მჯერა ასე უნდა ვუწოდოთ ქვეყნებს, რომლებსაც დამტკიცებული აქვთ ევროპული პერსპექტივა. დადგა დრო, როცა თავი უნდა დავაღწიოთ გაურკვევლობას, დროა, გამოწვევებს ნათლად და გულწრფელად გავუმკლავდეთ. დასავლეთ ბალკანეთის გზა ევროკავშირისკენ 20 წლის წინ დაიწყო. 2003 წლის სალონიკის სამიტმა დაამტკიცა ევროპული პერსპექტივა დასავლეთ ბალკანეთისთვის. მაგრამ ევროკავშირისკენ სვლის ნელმა ტემპმა მევრს იმედი გაუცრუა რეგიონშიც და ევროკავშირშიც“.

2023 წლის ოქტომბერში გახდება ცნობილი, გასცემს თუ არა ევროკომისია რეკომენდაციას საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე. ევროკომისიის დასკვნის შემდეგ 2023 წლის ბოლომდე ევროპული საბჭოს ლიდერები შეაფასებენ საქართველოსა და სხვა ქვეყნების პროგრესს.

მოგეხსენებათ, გასულ წელს ევროკავშირმა უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, საქართველოს კი ევროპული პერსპექტივა მიანიჭა და კანდიდატის სტატუსის მისაღებად 12-პუნქტიანი წინაპირობა დაუწესა.

დანა სპინატი: ჩვენ არ ვართ ორიენტირებული ევროკავშირში ახალი ქვეყნების გაწევრების თარიღზე

რეფორმების მხარდაჭერაზე, რომლებსაც ვახორციელებთ. ჩვენ ვახორციელებთ ინვესტიციებს, რომლებიც ეხმარება მათ, გარდაქმნან თავიანთი ეკონომიკები და მიუახლოვდნენ მოთხოვნებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ევროკავშირში გაწევრიანებამდე“, – დასძინა მან.

დავით ქართველიშვილი: ასეთი პრორუსული საჩუქარი მედვედევს არც კი დაესიზმრებოდა

„გავეცანი ზედიზედ სამი სპიკერის განცხადებას ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივებთან დაკავშირებით. პირველი - ოპოზიციის მედიარუპორს, ნიკა გვარამიას ეკუთვნის: არა უშავს, რომ უახლოეს პერსპექტივაში არ მიგვიღებენ, მთავარია, შესაძლებლობის ფანჯარა არ იხურებაო.

ანუ ახალი პოლიტიკური ტერმინი შემოიღო – თუ NATO-სთან მიმართებით ღია კარში „საპატიო“ ადგილას ვიუანგებით, რაკი კარები დაკავებულია, EU-მ ფანჯარა გაგვიღო. თუმცა, გვარამიას ვარაუდით, სტატუსი მაინც არ მოგვეცემა.

მეორე მოსაზრება ეკუთვნის საქართველოს საკითხებში აწ უკვე „საპატიო ვანგას“, ჟურნალისტს, რიკარდ იოზვიაკს, რაც პირადად ჩემ მიერ არაერთხელ გამოთქმულ ვარაუდს ემთხვევა: კი მოგვცემენ ამ სტატუსს, მაგრამ არანაკლები ისეთი ახალი დათქმების თანხლებით, როგორც, მაგალითად, უკრაინამ რომ NATO-ში გასაწევრიანებლად მოსკოვის წითელ მოედანზე სამხედრო აღლუმი უნდა ჩაატაროს.

განცხადება მესამე: „ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონის“ საუკეთესო ტრადიციებში, შარლ მიშელმა – 2030 წლამდე გაფართოებაზე არც იოცნებოთო. როგორც ჩანს, მედვედევს ბრიუსელშიც კითხულობენ: „თუკი დასავლეთი საქართველოში გააქტიურდება, სოხუმსა და ცხინვალს რუსეთის შემადგენლობაში შევიყვანთო“. და აჰა, „მეტი რით დაგეხმაროთ“ კონტექსტში, შარლ მიშელმა დმიტრი ანატოლიევიჩს უპასუხა: არ ვიაქტიურებთ, არ მოახდინო ანექსიაო!

გასარკვევი მხოლოდ ორი რამ არის: ხდება თუ არა შარლ მიშელი ავტომატურად „რუსეთუმე“, ვინაიდან ასეთი პრორუსული საჩუქარი მედვედევს არც კი დაესიზმრებოდა, და, მით უმეტეს, რა დონის ევროსკეპტიციზმის მაპროვოცირებელია იგი ქართული საზოგადოებისთვის; და მეორე, რამდენად დამაზიანებელია ჩვენთვის ეს დამატებითი „ორპირი“ – ამჯერად უკვე ღია ფანჯრიდან მომდინარე. გაუძლებს კი ამდენს დასუსტებული ქართული „ფილტვი“?! აიკიდებს თუ არა ლეტალურ „პნევმონიას“?! – ამას 2030 წლის დადგომა აღარ უნდა, გაცილებით უფრო მალე გავიგებთ“, – წერს დავით ქართველიშვილი.

პაველ ჰერჩინსკი: ვიმედოვნებ, ევროკავშირის წევრი 27 სახელმწიფოს გადაწყვეტილება იქნება დადებითი!..

„დიდი ხნის წინ გამოვთქვი ჩემი პირადი მოსაზრება, გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ საქართველო გააგრძელებს თავის სვლას ევროკავშირის წევრობისკენ. როგორც ალბათ ყველამ იცის, მომდევნო ნაბიჯი არის კანდიდატის სტატუსი, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტიელბას მიიღებს 27 წევრი სახელმწიფო ამ დეკემბერში. ის დაეყრდნობა ანგარიშს, რომელსაც ამჟამად ამზადებს ევროკომისია. ეს ანგარიში გამოქვეყნდება ოქტომბერში. ასე რომ, ახლა ჩვენ გადამწყვეტ ეტაპზე გადავდივართ, როდესაც გამოქვეყნდება ევროკომისიის ანგარიში რეკომენდაციებით და თქვენ გექნებათ დეკემბერში შეხვედრა 27 წევრი სახელმწიფოს მეთაურთან, რომლებიც მიიღებენ გადაწყვეტილებას მომდევნო ნაბიჯებთან დაკავშირებით. ვიმედოვნებ, რომ გადაწყვეტილება იქნება დადებითი და საქართველო უფრო მიუახლოვდება წევრობას“, – აღნიშნა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა, პაველ ჰერჩინსკიმ.

მამუკა მდინარაძე: მათი გეგმაა კანდიდატის სტატუსი ვერ მივიღოთ...

„ერთი ჯგუფი ისევე ცდილობს, რომ კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს ქვეყანამ და ამაზე ააგონ წლევანდელი შემოდგომის და ზამთრის გეგმები. მეორე ჯგუფი ასევე ცდილობს, რომ კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს ქვეყანამ, რათა ამაზე ააგონ 2024 წლის არჩევნებთან დაკავშირებული საკუთარი გეგმები. საერთო ამ ორ ჯგუფს შორის არის მიზანი, რომ საქართველომ კანდიდატის სტატუსი არ და ვერ მიიღოს.

იმიტომ რომ სხვა შემთხვევაში მათ გეგმები ენგრევათ. ნიკა გვარამია აღმოჩნდა იმ ჯგუფში, რომელიც შედარებით რაციონალურად და პრაგმატულად ფიქრობს, რომ წელს კანდიდატის სტატუსის არ მიღება ხელისუფლებას ვერ ააყირავებს. ერთი მთავარი ავიწყდებათ - დიახ, ქართველი ხალხის დამსახურებაა ის, რომ საქართველოს ხელისუფლებაში „ქართული ოცნებაა“ და რომ ეს ქვეყანა მიდის ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობისკენ – ეს ავიწყდებათ მათ“, – აცხადებს მამუკა მდინარაძე.

ირაკლი კობახიძე: 2030 წლისთვის თუ ვინმე იქნება მზად ევროკავშირის წევრობისთვის, ეს არის სწორედ საქართველო!..

ირაკლი კობახიძე გამოეხმაურა შარლ მიშელის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირი 2030 წლისთვის გაფართოებისთვის მზად იქნება.

„ამ განცხადებას ჰქონდა დადებითი და უარყოფითი მხარეები. ზოგადად, კონკრეტული თარიღის, წლის დასახელება იყო მნიშვნელოვანი, თუმცა ცოტა ზოგადი იყო ეს განცხადება და ვის შეეხება ეს 2030, არის საინტერესო, რადგან არიან ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნები, რომელთაც სტატუსი აქვთ 18-12 წლის წინ მიღებული, თუ საუბარია მხოლოდ ამ ქვეყნებზე, საქმე ეხება ბალკანეთის ქვეყნებს. როდესაც 18 წლის წინ ქვეყანა ხდება კანდიდატი და მის მიმართ არის დაპირება, რომ შვიდ წელიწადში შეიძლება გახდეს წევრი, ეს დიდი ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. იმედია, დაკონკრეტდება მომავალში, რომ 2030 წელი არის აქტუალური თარიღი ყველა ქვეყნისთვის, რომელსაც აქვს კანდიდატის სტატუსი ან ახლო მომავალში მიიღებს“, – განაცხადა კობახიძემ.

ამასთან, ირაკლი კობახიძის განცხადებით, ყველაფერი გაკეთდება, რომ საქართველომ მიიღოს კანდიდატის სტატუსი.

თამარ კიკნაძე: ანტირუსული განწყობები საქართველოში მიზანმიმართულად იქმნება, რაც ჩვენს ქვეყანას არაფრით წაადგება!

რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დმიტრი მედვედევის მიერ საქართველოს შესახებ გაკეთებული განცხადება ქართულმა მხარემ მუქარად აღიქვა. თუმცა, მედვედევის განცხადებაში, დაუფარავი მუქარის გარდა, მოლაპარაკებების მაგიდასთან დასხდომის მზაობის შესახებაც იყო აქცენტი გაკეთებული. განცხადების ამ ნაწილს ოფიციალურმა თბილისმა ყურადღება პრაქტიკულად არ მიაქცია... „რეპორტიორის“ სტუმარია პოლიტიკური ექსპერტი თამარ კიკნაძე.

– ქალბატონო თამარ, რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის განცხადება რომ შევაფასოთ. პირველ რიგში, როგორ ფიქრობთ, ეს იყო პირადად დმიტრი მედვედევის პოზიცია თუ ოფიციალური მოსკოვის პოზიცია?

– როდესაც ამ რანგის ოფიციალური პირი აკეთებს განცხადებას, ის არასოდეს აუღერებს მის პირად მოსაზრებას. გავრცელებული მეთოდია მსოფლიო პოლიტიკაში, რომ როდესაც ქვეყნებს სურთ, დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, მას აუღერებს მაღალი რანგის პოლიტიკური ფიგურა.

– ქართულმა მხარემ დმიტრი მედვედევის განცხადების მხოლოდ ერთ ნაწილზე გააკეთა აქცენტი, რომელიც მუქარად იქნა აღქმული, თუმცა, ამავე განცხადებაში, მოლაპარაკებების მაგიდასთან დასხდომის მოწოდებაც იყო გაუღერებული... თქვენი აზრით, რატომ იქნა იგნორირებული ეს ნაწილი ოფიციალური თბილისის მხრიდან და, საერთოდ, რა იყო რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის განცხადებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მესიჯი?

– აღნიშნულ განცხადებაში სხვა რამეზეც იყო აქცენტი გაკეთებული, იმ ანტირუსულ განწყობებზე, რომელიც საქართველოში შეინიშნება და ეს ძირითადად, ოპოზიციის მიერაა წახალისებული. თუნდაც ის ფაქტი, როცა ისინი ბათუმში, რუსი ტურისტებით სავსე გემს დახვდნენ და უკან გააბრუნეს ლაინერი, ქვეყანაში მყოფ რუს ტურისტებსაც დაემუქრნენ, რომ პრობლემებს შეუქმნიდნენ მათ. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის საქართველოს ხელისუფლების პოზიცია და ისინი ხელს არ უწყობენ ამგვარი პოლიტიკის გატარებას, ფაქტი რჩება ფაქტად, ანტირუსული განწყობები მიზანმიმართულად იქმნება, რაც არაფრით წაადგება საქართველოს! მედვედევის განცხადების მეორე ნაწილი შეეხებოდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს და ყველამ კარგად იცის, რომ რუსეთისთვის აფხაზეთი და ოსეთი საქართველოზე ზეწოლის ბერკეტია. მედვედევმა პირდაპირ დაადასტურა, რომ ისინი მზად არიან, გაეროს ფორმატში გაიმართოს დიალოგი, თუმცა, ეს დადებითად არ იქნება აღქმული დასავლეთის მიერ. ამ მხრივ, საქართველოს ხელისუფლება არცთუ ისე მარტივ სიტუაციაშია. მე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტს, მჯერა, რომ ეს დიალოგი აუცილებლადაა გასამართი, იმიტომ, რომ სხვა ბერკეტი, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, უბრალოდ, არ გაგვაჩნია!

საქართველო ამდენი წლის განმავლობაში ნათლად ადასტურებს, რომ არჩეული აქვს დასავლური კურსი და სურს დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, მაგრამ ეს პროცესი არ ხერხდება. დასავლეთი გვპირდება, რომ ჩვენ გავხდებით ევროკავშირისა და ნატოს წევრი, მაგრამ სიტყვები სიტყვებად რჩება. ჩვენ კი არა, უკრაინასაც, რომელმაც ამდენი მსხვერპლი გაიღო, არ იღებენ თავიანთ სტრუქტურებში და ეუბნებიან, რომ შენ ჯერ რუსეთთან გამარჯვებით დაამთავრე ომი და მხოლოდ ამის შემდეგ ვილაპარაკოთ თქვენს ნატოში მიღებაზეო. წარმოუდგენელი ცინიზმია! თუკი საქართველო მკვეთრად ანტირუსულ პოზიციას დაიჭერს, მაშინ როდესაც ის არაა დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრირებული, ფაქტობრივად, მას არ რჩება არანაირი ბერკეტი, რომ რუსეთს წინააღმდეგობა გაუწიოს. ჩვენ გვაქვს ისტორიული შანსი, რომ რუსეთთან მოლაპარაკების გზით ვიაროთ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, მას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტის ამის ნათელი დასტური გახდა. უზარმაზარი სახელმწიფოს ლიდერი ასეთი პატარა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს როგორი პატივითა და ცერემონიით დახვდა.

– ისე, როგორც არასოდეს, ევროპის არც ერთ ქვეყანაში დახვედრიან არც ერთ ქართველ ლიდერს...

საქართველო ამდენი წლის განმავლობაში ნათლად ადასტურებს, რომ არჩეული აქვს დასავლური კურსი და სურს დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, მაგრამ ეს პროცესი არ ხერხდება. დასავლეთი გვპირდება, რომ ჩვენ გავხდებით ევროკავშირისა და ნატოს წევრი, მაგრამ სიტყვები სიტყვებად რჩება. ჩვენ კი არა, უკრაინასაც, რომელმაც ამდენი მსხვერპლი გაიღო, არ იღებენ თავიანთ სტრუქტურებში და ეუბნებიან, რომ შენ ჯერ რუსეთთან გამარჯვებით დაამთავრე ომი და მხოლოდ ამის შემდეგ ვილაპარაკოთ თქვენს ნატოში მიღებაზეო. წარმოუდგენელი ცინიზმია!

– ნამდვილად! საქართველოს საგარეო პოლიტიკაში მე ვამჩნევ ერთ ძალიან პოზიტიურ ცვლილებას, რაც ამ ხელისუფლებისთვისაა დამახასიათებელი - მრავალვექტორულობასა და ეროვნული ინტერესების დაცვას! ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ, მედვედევის განცხადების საპასუხოდ გააკეთა ის განცხადება, რაც გააკეთა, ვფიქრობ, რომ საქართველოს უმაღლესი წარმომადგენლების მხრიდან კიდევ იქნება სხვა განცხადებებიცა და ქმედებებიც!

– ელოდებით, რომ საქართველოს ხელისუფლება ღიად განაცხადებს მზაობას რუსეთთან მოლაპარაკებების შესახებ?

– მსოფლიოში ახალი გადანაწილების პროცესი მიდის. საქართველოს მოსახლეობის ნაწილს ადრე ოპტიმისტური განწყობები ჰქონდა იმის შესახებ, რომ დასავლეთი, ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი პრობლემის, ტერიტორიული გამთლიანების პროცესის მოგვარების საკითხში, გვერდში დაგვიდგებოდა, მაგრამ ამ პროცესებმა, რაც ბოლო დროს განვითარდა, ცხადყო, რომ საქართველომ თვითგადარჩენის რეჟიმში უნდა იმოქმედოს! რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლებას, თუკი ისინი ნათლად და მკაფიოდ ვერ ადასტურებენ თავიანთ პოზიციას, ეს იმის ბრალია, რომ ოპოზიცია აფთარივითაა ჩასაფრებული და, როგორც კი ქვეყნის სასარგებლოდ იდგმება ნაბიჯი, მაშინვე დესტრუქციული ქმედებების განხორციელებას იწყებს, რაც არც ერთ შემთხვევაში არ წაადგება საქართველოს კეთილდღეობას!

– ქალბატონო თამარ, დმიტრი მედვედევის განცხადება დროში დაემთხვა საქართველოში ნატოს საერთაშორისო სამხედრო წვრთნების დაწყებას, განცხადებამდე ზუსტად ორი დღით ადრე დაიწყო მათი წვრთნები ჩვენს ტერიტორიაზე... როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ამ ორ მოვლენას შორის კავშირი და რას მოუტანს საქართველოს ნატოში გაწევრიანების აკვიატებული იდეა?

– საერთოდ, პოლიტიკაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია და შემთხვევით არაფერი ხდება! მაგრამ ამ შემთხვევაში, მე შემიძლია გავუგო საქართველოს ხელისუფლებას. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ამინდს საერთაშორისო პოლიტიკურ სცენაზე ვერ ვქმნით. ჩვენ მუფერული სახელმწიფო ვართ და ძალიან ფრთხილი მოქმედებებია საჭირო! საქართველო კი არა, ევროპის ყველაზე დიდი სახელმწიფო, უკრაინაც მუფერული სახელმწიფოა და მსოფლიო გადანაწილების აღნიშნული პროცესი, სწორედ უკრაინის გადანაწილების ხარჯზე ხდება. ამიტომ, ახლა არაა საჭირო არც დაჩქარებული გადაწყვეტილების მიღება და არც გადაწყვეტილების მიღების დაგვიანება. უნდა მოვძებნოთ ის მიზნული, ჭეშმარიტი დრო, რომელიც სარგებელს მოგვიტანს. მინდა მჯეროდეს, რომ ხელისუფლება ამ დროსა და ამ პროცესებს აკონტროლებს!

– და ბოლოს, არ მინდა მკითხაობა გამოგვივიდეს, მაგრამ მაინც გკითხავთ, თქვენი აზრით, შემსრულებელია თუ არა რუსეთი იმ მუქარისა, რომელსაც მედვედევის განცხადება შეიცავდა? ფაქტია, რომ უკრაინას ნლების წინანდელი მუქარა შეუსრულა...

– ამაში ეჭვი ვინმეს ეპარება?! საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და ერთი დღეც კი არ დასჭირდება რუსეთს, რომ აქ საომარი მოქმედებები დაიწყოს და დაამთავროს! ამას ისეთი პროცესების განვითარება მოჰყვება, რომ შეიძლება, საქართველოს რუსეთის გუბერნიად ყოფნა მოენატროს, ამიტომ ყველა უნდა მიხვდეს, რომ ოპოზიციის ეს ისტერიული რიტორიკა ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთო მიზნებს არ ემსახურება!

„რეპორტიორი“

ირაკლი კობახიძე: საქართველო ნარმატებით ახორციელებს არალიარების პოლიტიკას...

ჩვენთვის მთავარია, რომ საქართველო წლების განმავლობაში წარმატებით ახორციელებს არაღიარების პოლიტიკას. სწორედ ჩვენი ხელისუფლების არაღიარების პოლიტიკის შედეგია, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში არც ერთი ერთეულით არ გაზრდილა იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებსაც აღიარებული აქვთ ეგრეთ წოდებული დამოუკიდებლობა, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

„განცხადებების მიუხედავად, ჩვენ გავაგრძელებთ წარმატებული არაღიარების პოლიტიკის წარმოებას. ჩვენ ასეთი განცხადებები მოგვისმენია, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, არაღიარების კუთხით ჩვენი პოლიტიკა იყო წარმატებული. მათ განცხადებებს არ ვუღრმავდები, ეს მათი საქმეა.

მე ვუღრმავდები იმას, როგორია ჩვენი არაღიარების პოლიტიკა და ეს პოლიტიკა არის ძალიან წარმატებული. რა თქმა უნდა, ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა ძალიან დიდი მიღწევაა და ყველაფერი გაკეთდება, რათა კიდევ უფრო გაღრმავდეს ჩინეთთან თანამშრომლობა ყველა მიმართულებით. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ორივე მიმართულებით ვიქნებით ძალიან აქტიურები და ვერავითარი განცხადება ამაში ხელს ვერ შეგვიშლის“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

გია ვოლსკი: მედვედევის მუქარას გარკვეული მიზანი აქვს, ამ მიზნის შესასრულებლად „ნაცმოძრაობის“ საქმიანობა ზედგამოჭრილი იყო...

„ეს არის ფაქტი, რომელსაც მოჰყვა ის, რომ რუსეთის მართებულობას ხელი მოაწერეს. დღეს ეს მუქარა ძალაშია, რუსეთისთვის ეს ტერიტორიები სტრატეგიული მნიშვნელობისაა, რათა თავის დიდ ბრძოლაში დაუპირისპირდეს იმ დიდ ძალას, რომლის წიაღშიც ჩვენ ვართ და რაც კონსტიტუციით გვაქვს გარანტირებული. ეს არის რეალობა, რომელშიც სწორად მოქცევაა საჭირო და არა ბრტყელ-ბრტყელი განცხადებები, რომელსაც ის ადამიანები აკეთებენ, რომლებიც მუდმივად, 2006 წლიდან მოყოლებული ინტენსიურ ნაბიჯებს დგამდნენ, რათა რუსეთს თავისი სტრატეგიული გეგმები აესრულებინა საქართველოს ტერიტორიაზე.

ეს არის ინტრიგა, რომელიც მუდმივად არსებობს და მედიასაშუალებებშიც ამ რაკურსით იხილება საკითხი. ამერიკიდან, ვაშინგტონიდან არაერთი გაფრთხილება გაგვიგია და ყველაფერი იგნორირებული იყო. დღეს ეს ხალხი შეგროვდა და უნდათ, რომ ერთი რეალობიდან გადაგვიყვანონ მეორეში, თითქოს მმართველ პოლიტიკურ გუნდში რაღაც რუსული თემა პრივალირებს. მედვედევი იმუქრება, რასაც გარკვეული მიზანი აქვს. ამ მიზნის შესასრულებლად „ნაცმოძრაობის“ საქმიანობა ზედგამოჭრილი იყო და როგორც ჩანს, მომავალშიც ასე აპირებენ საქმიანობას“, – აღნიშნა პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ.

არნახული ნალექი, ოპოზიციონერთა „ფეიკები“ და ქართველი პარასპორტსმენების მიღწევები...

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, **კახა კალაძემ** რამდენიმე განცხადება გააკეთა და ქალაქში მოსული უხვი ნალექის შედეგებზე ისაუბრა.

„გუშინ ღამით თბილისში მოსულმა უხვმა ნალექმა არაერთი პრობლემა შეუქმნა დედაქალაქს. ასეთი უხვი ნალექი თბილისს არ ახსოვს. შესამჩნისი სამსახურები სრულად მობილიზებული გვყავდა. ამინდის ცვლილებასთან ერთად, ყოველთვის გვაქვს მზადყოფნა. ამჯერადაც რეაგირება იყო დროული, სწრაფი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. გარემოს ეროვნული სააგენტოს წინასწარი მონაცემებით, სამი საათის განმავლობაში მოსული ნალექის რაოდენობამ 2-ჯერ გადააჭარბა 2015 წლის 13 ივნისს 6 საათის განმავლობაში მოსული ნალექის რაოდენობას. თან წუხანდელმა ნალექმა მოიცვა თბილისის მთელი ტერიტორია“, – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძის თქმით, გავრცელებული განცხადებები, თითქოს, დედაქალაქის მასშტაბით, სანიაღვრე სისტემებმა არ იმუშავა, სიმართლეს არ შეესაბამება.

„პირველივე წუთებში მერიის შესაბამისი უწყებები უკვე იმყოფებოდნენ პრობლემურ ადგილებზე და ცდილობდნენ საჭირო ღონისძიებების გატარებას. ეს მიმდინარეობდა მთელი ღამე. დატბორილი იყო ქუჩები, სახლები, სარდაფები, რამდენიმე ქუჩაზე წაიქცა ხეები, რამაც ელექტროსადენები დააზიანა, თბილისის რამდენიმე ფერდზე დაფიქსირდა ქვათაცვენა - მათ შორის, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის პრობლემურ მონაკვეთზე. ასევე, მცირე ქვათაცვენა იყო თამარაშვილის ქუჩაზე და მარშალ გელოვანის გამზირისა და მაჭავარიანის ქუჩის დამაკავშირებელ გზაზე მდებარე ფერდობებიდან. აქ უკვე გაწმენდილია გზები და გადაადგილება უპრობლემოდ ხდება.

პირადად ვიმყოფებოდი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც შეტბორილი იყო თამარ მეფის პანდუსზე ამსვლელი გზა. ძალიან მევრი განცხადება მოვისმინეთ, თითქოს, სანიაღვრე სისტემები არ მუშაობს დედაქალაქში. რა თქმა უნდა, მიწისქვეშა კომუნიკაციების პრობლემები გვაქვს. სწორედ ამიტომ, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოებს ვაწარმოებთ, პირველ რიგში, მსგავს კომუნიკაციებს ვაწესრიგებთ. წუხელ პრობლემა შექმნა იმან, რომ სანიაღვრე ცხაურები ნაგვით იყო დაფარული და ეს უშლიდა წყლის ჩადინებას. ამის მიუხედავად, კონკრეტულ ლოკაციაზე, სადაც მე ვიყავი, სანიაღვრე სისტემა გამართულად მუშაობდა, გვიწევდა ამ ყველაფრის ხელით გაწმენდა. წვიმის გადაღებისთანავე, ერთი გრამი წყალი არ იყო ასფალტზე და მთლიანად დაცლილი იყო შეტბორილი არეალი“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

ამასთან, დედაქალაქის მერმა მუნიციპალიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომელს მადლობა გადაუხადა დროული რეაგირებისა და გაწეული სამუშაოების ჩატარებისთვის.

დედაქალაქის მერმა სხდომაზე ასევე აღნიშნა, რომ რიგ მედიასაშუალებებში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს მუხიანში, ნონეშვილის ქუჩაზე მდებარე სკვერში საბავშვო ატრაქციონი არასწორად დამონტაჟდა, „ფეიკნიუსია“.

მანვე საზოგადოებას წარუდგინა ვიდეომასალა, სადაც ნაჩვენებია, როგორ მუშაობს აღნიშნული ატრაქციონი.

„ფეიკნიუსების“ მიზანი თბილისის მუნიციპალიტეტის დისკრედიტაცია და საზოგადოების დეზინფორმირებაა. გუშინ რიგი მედიასაშუალებები სიცრუეს ტირაჟირებდნენ, თითქოს მუხიანში, ნონეშვილის ქუჩაზე მდებარე სკვერში საბავშვო ატრაქციონები დამონტაჟდა არასწორად, უკუღმა. საზოგადოების ჯანსაღი ნაწილისთვის, ვისაც უხარია დედაქალაქის წინსვლა, გავაკეთებთ განმარტებებს. ამ ადამიანებს კი აქვთ უფლება, აირჩიონ როგორ გააგრძელონ თავიანთი ყურნალისტური საქმიანობა. არავინ გზღუდავთ, დემოკრატია გვაქვს ქვეყანაში, თუმცა სიცრუის უფლებას არ მოგცემთ და მას ყოველთვის მოჰყვება რეაგირება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, მეტროსადგურ „ისნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გადატვირთული სატრანსპორტო კვანძი მოწესრიგდა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის გზის გამტარობას.

„დედაქალაქში საგზაო მოძრაობის გაუმჯობესებისა და განტვირთვის მიზნით, სხვადასხვა უბანში იდენტიფიცირებული გადატვირთული სატრანსპორტო კვანძების მოწესრიგება გრძელდება. აღნიშნულ მონაკვეთზე მოეწყო საგზაო კუნძულები, კეთილმოეწყო ტროტუარი და გორდიური, გამოიცვალა ასფალტის საფარი, დაიხაზა გზა და დამონტაჟდა შუქნიშნები, ასევე, ავტობუსის გაჩერებებზე დაიგო რკინაბეტონის საფარი. ამუამად, აღნიშნულ კვანძზე გამავალი საზოგადოებრივი ტრანსპორტის 35-მდე მარშრუტი, დღიურად, 130 000-მდე მგზავრს ემსახურება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ტაბახმელაში, თრიალეთის ქუჩა !2-ის მიმდებარედ სპორტული კომპლექსის მშენებლობა იწყება.

„არაერთხელ გვითქვამს, რომ რეკრეაციული სივრცეები, სპორტული მოედნები ძალიან მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის. ამ მხრივ, თბილისში მევრი კარგი პროექტი განხორციელდა. მინდა, ერთ კარგ პროექტთან დაკავშირებით მოგაწოდოთ ინფორმაცია – სპორტული კომპლექსი, რომლის სამუშაოებსაც მთაწმინდის გამგეობა ახორციელებს, 7 800 კვადრატულ მეტრ ფართობზე მოეწყობა. პროექტი მოიცავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის საფეხბურთო და საკალათბურთო მოედნებს, 230 მაყურებელზე გათვლილ ტრიბუნას, ტექნიკურ შენობას გასახდელებითა და სხვა საჭირო სივრცეებით, ასევე საპარკინგე სივრცეს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, აღნიშნული სამუშაოები მომდევნო კვირების განმავლობაში დაიწყება.

ამასთან, კახა კალაძემ საქართველოს პარანაკრებს ევროპის პარაჩემპიონატზე მოპოვებული წარმატება მიულოცა.

მისი თქმით, ევროპის პარაჩემპიონატზე, რომელიც რამდენიმე დღის წინ დასრულდა, საქართველოს პარანაკრებმა 16 მედლის მოპოვება შეძლო, აქედან ოთხი ოქროა, სამი ვერცხლი, ხოლო ცხრა ბრინჯაო. ერთ-ერთი გამარჯვებული კი, რომელმაც პარატაეკვანდოში ოქროს მედალი მოიპოვა, მერიის სისტემის თანამშრომელი გიორგი ხიზანიშვილია.

ძლიერი წვიმის შედეგად, თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირისა და მუხრან მაჭავარიანის ქუჩის დამაკავშირებელ გზაზე და თამარაშვილის ქუჩაზე მიწის ნაწილი ჩამოიშალა. გუშინ სპეციალური ტექნიკის დახმარებით სავალი გზის გაწმენდის სამუშაოებში მიმდინარებს. გზის გაწმენდის სამუშაოებს მონიტორინგს დედაქალაქის მერიის თანამშრომლები უწევენ. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟიც. აღნიშნულ მონაკვეთზე ავტომობილების მოძრაობა დროებით შეზღუდა.

წყალდიდობის შემდეგ...

უხვმა ნალექმა ყველაზე მეტი პრობლემა გლდანში შექმნა, ასევე, ერთ-ერთი რთული მონაკვეთი იყო მტკვრის მარჯვენა სანაპირო. ამასთან, დედაქალაქის მერმა მოსახლეობას მოუწოდა, ძლიერი წვიმით გამოწვეული პრობლემების შემთხვევაში დარეკონ თბილისის მერიის ცხელ ხაზზე – 2722222.

ებრაელთა თანადგომით აგებული თანამედროვე სათბური

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკნის ერთწლოვანი კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო ბაზაზე, ისრაელის საელჩოს დაფინანსებით, MASHAV-ის პროგრამის ფარგლებში აშენებული თანამედროვე ტექნოლოგიის სათბური ისრაელის ელჩმა საქართველოში ჰადას ესტერ მეიცადმა დაათვალიერა და მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო, – ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

თანამედროვე სათბური აღჭურვილია ვენტილაციის, ფერტიგაციის და წვეთოვანი მორწყვის სისტემებით, ამ ეტაპზე ნაკვეთზე ჰიდროფონიკის (მცენარის უნიადაგოდ მოყვანის ინოვაციური მეთოდი) ტექნოლოგიის დანერგვა მიმდინარეობს.

„ჩვენი თანამშრომლობა შემდგომში სემინარების და ტრენინგების სახით გაგრძელდება, რომლის დაწყებასაც ოქტომბრიდან ვგეგმავთ. ისრაელიდან ჩამოვლენ ექსპერტები, რომლებიც მათ გამოცდილებას გაუზიარებენ ფერმერებს. ჩვენ ასევე მზად ვართ ქართულ მხარეს ისრაელში არსებული სხვა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით დავეხმაროთ“, – აღნიშნა ისრაელის ელჩმა ჰადას ესტერ მეიცადმა.

სათბურის ძირითადი დანიშნულება ახალგაზრდა ფერმერების გადამზადება და მათთვის სემინარ-ტრენინგების ორგანიზებაა. აქ სხვადასხვა ქვეყნის აგრონომებსა და ექსპერტებს საშუალება ექნებათ ერთმანეთს ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ.

სტუმრებმა წილკნის ბაზაზე პროფესორ ივანე სარიშვილის სახელობის ნიადაგის კვლევის ლაბორატორიაც დაათვალიერეს, სადაც 2017 წლიდან ნიადაგის სრულყოფილი კვლევა მიმდინარეობს, რომლის საფუძველზეც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის ნიადაგის შეფასება და მისი ნაყოფიერების დონის განსაზღვრა ხდება.

ერთკილომეტრიანი ბილიკით ხიხანის ციხეზე

ხიხანის ციხეზე ასასვლელი ბილიკის მშენებლობა სრულდება. ერთკილომეტრიან საფეხმავლო ბილიკზე უკვე დამონტაჟდა გარემოსთან ადაპტირებული კიბეები მოაჯირებით, მოსასვენებელი ადგილები, საქანელა და ფანჩატური, – ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების საagენტომ ტურისტული ბილიკის კეთილმოწყობა ხიხანის ციხის დალაშქვრის გამარტივების მიზნით განახორციელა, რაც ციხეზე ასვლას ტურისტებისთვის უსაფრთხოსა და მიმზიდველს გახდის.

ტურისტებს ახალი ბილიკით სარგებლობა სექტემბრის მეორე ნახევრიდან შეეძლებათ. ხიხანის ციხის ტურისტული ბილიკი აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, მთავრობის უმაღლესი საბჭოს წევრებთან ერთად დალაშქრა და იქ მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.

დაუვიწყარი შეხვედრა სამეგრელოში

2 აგვისტოს სამეგრის საკათედრო ტაძარში გაიმართა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიძღვნილი იყო საქართველოს პატრიარქის ილია მეორის მფარველი ანგელოზის ილია თეზბიტელის და ილია მართლის ჭავჭავაძის დღისადმი.

საზეიმო შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა გვარების წინამძღოლთა დარბაზის გამგეობის თავმჯდომარემ **ირაკლი ბრეგვაძემ.** შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ და ღირსსახსოვარი დღის მნიშვნელობაზე ისაუბრეს წინამძღოლთა დარბაზის თანათავმჯდომარემ **ჯემალ ადამაშვილმა,** დარბაზის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა **შოთა ზედგინიძემ, დედა მარიამმა,** მელიქიძეების გვარის მეთაურმა **გოგიტა მელიქიძემ,** დარბაზის გამგეობის წევრმა **ვალერიან ლომიძემ,** რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს პატრიარქის ღვაწლს მართლმადიდებლური ეკლესიის და მრევლის წინაშე.

გაფართოებულ სხდომაზე საპატიო სიგელები გადაეცათ **ვაჟა ბერიძეს, გიორგი მარხვაშვილს და იუზა ტყემელაძეს,** დარბაზის აქტიურ დამფუძნებლებს, გვარების წინამძღოლებს და ქველმოქმედებს.

შესაბამისი მოწმობები გადაეცათ კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიერ დალოცვილ გვარებს.

საპატიო სიგელი გადაეცა ტვ „ქართულის“ დირექტორს ქალბატონ **მანანა იმედაძეს,** ქართული გვარების წინამძღოლთა დარბაზის საქმიანობაში აქტიური და ნაყოფიერი საქმიანობისათვის. ამასთან შეხვედრაზე გაცხადდა, რომ ამიერიდან ტვ „ქართულის“ კომერციულ დირექტორად დაინიშნა წინამძღოლთა დარბაზის თავმჯდომარე **ირაკლი ბრეგვაძე.**

გვარების წინამძღოლთა დარბაზისა და საქართველოს რაგბის ფედერაციას შორის გაფორმდა ორივე სუბიექტისთვის ურთიერთხელსაყრელი მემორანდუმი, ამასთან დარბაზის გამგეობამ საქართველოს რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი და მეცენატი **იოსებ ტყემალაძე** დააჯილდოვა საპატიო სიგელით.

გვარების წინამძღოლთა დარბაზის საზეიმო შეხვედრა დაამშვენა კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ნათლულების მიერ შესრულებულმა საგალობლებმა.



რას მოგვითხრობს მაჭარაშვილების საგვარეულო მატიანე?!

ერის პირქვე დამხობა იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას რწმენა ეკარგება თავის წარსულისა.

ილია ჭავჭავაძე.

ქართველი კაცისთვის დედასავით სათაყვანო და ტკბილია სამშობლოს და მისი ისტორიის სიყვარული. ეს კი ოჯახიდან, გვარიდან, სოფლიდან იწყება.

მაჭარაშვილთა საგვარეულომ მევრი სახელოვანი შვილი აღუზარდა მშობლიურ საქართველოს, რომლებიც წარმატებით შრომობენ მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის, განათლების და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში.

საქართველოში 25 000-ზე მეტ გვარს ითვლიან. მაჭარაშვილთა გვარის რაოდენობა მრავალრიცხოვანია. 2016 წლის მონაცემების მიხედვით იგი 8552 სულს შეადგენს. გვარიშვილთა რიცხოვრივობის მიხედვით ქართულ გვარებს შორის 21-ე ადგილი უკავია. გვარის სიმრავლემ გავლენა მოახდინა მის განსახლების არეალზე. მაჭარაშვილთა გვარის წარმომადგენლები ცხოვრობენ იმერეთში – 3400, აქედან საჩხერის მუნიციპალიტეტში – 2429. (სოფელ კორბოულში) – 930. თბილისში - 1968, შიდა ქართლში – 895, ქვემო ქართლში – 761, რუსთავში – 605, კახეთში 731 (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში – 512), სამცხე-ჯავახეთში – 267, გურიაში – 127, მცხეთა-მთიანეთში – 118, აჭარაში – 59, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 55. მრავლად ცხოვრობენ ყოფილი საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის ქვეყნებში.

მაჭარაშვილები თავიანთი სოციალური მდგომარეობით ფრიად დაწინაურებული საგვარეულოა.

გვარის ეტიმოლოგია (სემანტიკური ფუძე) – ძველი ქართული არაქრისტიანული ქართული სახელია კაცისა. „მაჭარ“ – ფუძიანი არიან: მაჭარაძენი და მაჭარაშვილნი, გვარსახელით ერთფუძისანი და არაგვარმოდენილობით ერთსისხლნი. სოციალური სტატუსი – ნაწილი აზნაური, ნაწილი სასულიერო პირნი, ნაწილი საბატონო გლეხები.

1588 წელს ქართლის კათალიკოსის ნიკოლოზის წყალობის სიგელში სამცხეთო აზნაურის ელიოზისადმი, სოფ. ბარაუნში იხსენიება გლეხი ბორჯალა მაჭარაშვილი. ეს სოფელი დღეს არ არსებობს, თუ სად მდებარეობდა, უცნობია. ამჟამად ქართლში, ქსნის ხეობაში, მაჭარაშვილი ძირძველ გვარად ითვლება, ხოლო კასპის რაიონის სოფლებში ჩასახლებულ ქსნისხეველ მაჭარაშვილებს დღესაც „მთიულებს“ უწოდებენ.

XVIII საუკუნიდან მაჭარაშვილთა გვარი ზემო იმერეთში ჩანს. ამ საუკუნის მიწურულს თავადმა ზაალ წერეთელმა ნასხაშვილისეული მამული უბოძა ლაზარე მაჭარაშვილს.

სიგელში წერია: არიან ამისი მოწმე აზნაურიშვილები: ბედანა გოდაბრელიძე, შოშიტა ციმაკურიძე, მაჭარაშვილი შოშიტა, მკერვალი პაპუნა კაპანაძე. ამავე ზაალ წერეთელმა ლაზარე მაჭარაშვილს თარხნობის წიგნიც დაუწერა.

1722 წელს თავად წერეთელს ლაზარე მაჭარაშვილისთვის მსახური მიუცია; სხვა საბუთით ის დათუნა მაჭარაშვილს ვალის სანაცვლოდ მამულს აძლევს.

1804 წლის ზემო იმერეთის მოსახლეობის რუსთა მეფისადმი დაფიცების საბუთში სოფ. კორბოულში ჩამოთვლილია მაჭარაშვილთა 34 ოჯახი.

ადრე დაწყებულა იმერელ მაჭარაშვილთა დამკვიდრება შიდა ქართლში. ხაშურ-ქარელში შემორჩა მაჭრაანი - უბანი სოფ. წაღვლში, მაჭრაანთწყარო და მაჭარაშვილების ტყე – სოფ. შაქშაქეთში. XX საუკუნის დამდეგს ხაშურის რაიონის სოფ. ვაყის მამასახლისად ჩანს ნიკოლოზ მაჭარაშვილი, აგრეთვე სოფ. კორბოულში მღვდელი ვლადიმერ მაჭარაშვილი და გუნდაეთის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელი სერგი მაჭარაშვილი.

მღვდელმა ვლადიმერ მაჭარაშვილმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებამდე 1872 წელს სოფ. კორბოულში საკუთარი ხარჯებით დააარსა სკოლა, რომლის ბაზაზეც დღეს ფუნქციონირებს კორბოულის პირველი საშუალო სკოლა.

XVII საუკუნის 60-იან წლებში. ახალგორის ქსნის ხეობის სოფლების აღწერისას, მოხსენებული არის ერისთავების ყმა - 10 კომლი. ხოლო ერთი კომლი – ღვთისმშობლის ტაძარზე შეწირული მაჭარაშვილი. კასპის რაიონის სოფლებში დასახლებული მაჭარაშვილები წარმოშობით ახალგორიდან არიან.

1817 წელს ერტისში მოიხსენიება ოთარა მაჭარაშვილი, ხოლო გიორგი და ნიანია მაჭარაშვილები მოიხსენებიან დიდ თონეთში.

90 წლის მოხუცი აფრასიონ მაჭარაშვილი იხსენებდა: აჭარიდან გოგობერიშვილის ხალხი კორბოულში აჭარაშვილების გვარად ჩაეწერნენ, ხოლო როდის გაჩნდა „მ“ ასო აჭარაშვილების გვარის წინ, არავინ იცის. მისივე გადმოცემით აჭარაძეებიც იქიდან ყოფილან გორისაში დასახლებულნი.

საჩხერის რაიონის სოფლებში მაჭარაშვილების გვარის ხალხი ყველანი კორბოულიდან არიან.

XIX-XX საუკუნის მიჯნაზე დაიწყო მაჭარაშვილების დასახლება კახეთის რეგიონში, ლაგოდეხის რაიონში. XX საუკუნის 40-50-იან წლებში მაჭარაშვილები გაჩნდნენ ადიგენის, მარნეულის, ბოლნისის, ხობის, ოზურგეთის რაიონებში.

წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს განათლების დარგში საქართველოს პედაგოგიური აკადემიის აკადემიკოსმა **კარლო მაჭარაშვილმა,** თბილისის განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილემ – **ანტონ მაჭარაშვილმა.** მრავალი მაჭარაშვილი ემსახურება მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია **ანზორ მაჭარაშვილის** მოღვაწეობა ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში, რომელმაც დააფუძნა ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია, და პროფესიული კოლეჯი, „ორიენტირი“, რომლებსაც წარმატებით ხელმძღვანელობენ მისი შვილები **სოფიო და რამაზ მაჭარაშვილები.**

ხათუნა მაჭარაშვილი – თბილისის ვაკის რაიონის სერვისცენტრის ხელმძღვანელია, ხოლო საჩხერის რაიონის სერვისცენტრს **ცისმარი მაჭარაშვილი** ხელმძღვანელობს. კორბოულის საჯარო სკოლის დირექტორი **გელა მაჭარაშვილია,** თბილისის №132-ე სკოლის დირექტორია **თამარ მაჭარაშვილი,** მარნეულის რაიონის სოფელ წერეთლის საჯარო სკოლას ხელმძღვანელობს **მარინა მაჭარაშვილი,** ხაშურის რაიონის სოფელ ვაყის საჯარო სკოლის დირექტორია **მამუკა მაჭარაშვილი.** ნაყოფიერად მუშაობენ პედაგოგებად **მაჭარაშვილები** საქართველოს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში, ლიტერატურის დარგში პოეტი-აკადემიკოსია **იოსებ მაჭარაშვილი,** რომელიც მრავალი პოეტური კრებულის ავტორია, მწერალი **ნოდარ მაჭარაშვილი,** პოეტი **ეკა მაჭარაშვილი,** რომლის ლექსები სისტემატურად იბეჭდება ქართულ და გერმანულ პრესაში.

მაჭარაშვილების გვარს დიდად გაუთქვა სახელი სასახელო ხელოვანმა, კომპოზიტორმა **გია მაჭარაშვილმა** და ახალგაზრდა მხატვარმა **ლევან მაჭარაშვილმა.**

ქართული თეატრის განვითარების საქმეს ემსახურება მსახიობი **ირაკლი მაჭარაშვილი,** რომელიც წარმატებით მოღვაწეობს შ. რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში.

ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი იყო **გრიგოლ მაჭარაშვილი.**

მაჭარაშვილების საგვარეულო ხატი

მაჭარაშვილების საგვარეულო კავშირის ერთ-ერთი შეხვედრა

გენადი მაჭარაშვილი – ისტორიკოსი, პედაგოგი, მხარეთმცოდნე. თბილისის ტურისტულ-საექსკურსიო ბიუროს დირექტორი.

ზურამ მაჭარაშვილი მუშაობდა საქართველოს შსს ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობებზე.

ეკა მაჭარაშვილი – ფილოლოგი, პოეტი, 2004 წლიდან სწავლობდა ვენის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში. ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს ავსტრიაში, სადაც ერთ-ერთ წამყვან სასწავლო დაწესებულებაში ასწავლის გერმანული ენის გრამატიკის კურსს. მისი თაოსნობით ავსტრიაში, ზემო ავსტრიის მხარეში – ქ. ლინცში გაიხსნა ქართული სკოლა.

ქრისტინე მაჭარაშვილი არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მინიჭებული აქვს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

დაუვიწყარია არქიტექტორ **თენგიზ მაჭარაშვილის** მოღვაწეობა, რომელიც წლების განმავლობაში ემსახურებოდა ქ. სოხუმს.

საქართველოს პარლამენტში მოღვაწეობს IX-X მოწვევის დეპუტატი **გურამ მაჭარაშვილი,** საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამგზის წევრია **დავით მაჭარაშვილი**.

საამაყოა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ორგზის ღირსების ორდენის და მრავალი მედლის კავალერის **რევაზ მაჭარაშვილის** მოღვაწეობა.

აღსანიშნავია მაჭარაშვილების დამსახურება ქართული მედიცინის განვითარების საქმეში. მათ შორის გამორჩეულია პროფესორ **ლაშა მაჭარაშვილის,** დოცენტ **ჯუმბერ მაჭარაშვილის** და ექიმ **ალეკო მაჭარაშვილის** დამსახურება.

ქართული საჭადრაკო სკოლის განვითარებას ემსახურება ცნობილი საჭადრაკო სკოლის პედაგოგი, სპორტის ოსტატი **გიორგი მაჭარაშვილი.**

ნაყოფიერად მუშაობენ წარმატებული ბიზნესმენები: **ამბროსი, ელგუჯა, ვანო, ირმა მაჭარაშვილები.**

მრავალი მაჭარაშვილი მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის დაცვის საქმეში. ბევრი მათგანი შეეწირა ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლას. თბილისში, გმირთა მემორიალზე, ოქროს ასოებით არის ამოტვიფრული მაჭარაშვილების გვარი, რომლებმაც თავი შეწირეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეს.

კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდნენ და ამ რეჟიმის მსხვერპლი გახდა არაერთი მაჭარაშვილი.

2001 წ. 6 თებერვალს, გაზეთ „რაეოს“ რედაქციაში გაიმართა მაჭარაშვილების შეხვედრა-გაცნობა.

2012 წლის მაისში დაფუძნდა და საჯარო რეესტრში გატარდა მაჭარაშვილების საგვარეულო კავშირი. არჩეული იქნა კავშირის გამგეობა 4 წევრის შემადგენლობით: **გენადი** – გამგეობის თავმჯდომარე, წევრები **გელა** და ორი **კახაბერი** – მაჭარაშვილები.

2012 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აკურთხა გვარის მფარველი წმინდა გიორგის ხატი. წირვას ესწრებოდა 500-მდე მაჭარაშვილი, გვარის წინამძღოლად არჩეული იქნა **გენადი მაჭარაშვილი.**

ყოველი წლის 10 ივნისი დაწესდა მაჭარაშვილების სადღესასწაულო დღედ – მაჭარაშვილობა“.

2019 წელს დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „მაჭარაშვილი“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას – შექმნას სამუშაო ადგილები.

ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია ყველა ღირსეული გვარიშვილის ჩამოთვლა, მათ სახელოვან და საამაყო გვარიშვილობაზე მომავალში მოგითხრობთ.

გვწამს, მომავალში ამ მეტად საინტერესო გვარის წარმომადგენლები ბევრი სასიკეთო საქმეებით ასახელებენ სამშობლოს და საკუთარ გვარს.

ვალერიან ლომიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

საზოგადოებას მას იცნობდა, როგორც მსახიობს, მწერალს, საზოგადო მოღვაწეს, დიდ დეკლამატორს, მაგრამ ამის მიღმა მუდამ იკითხებოდა პოეტური სულის ადამიანი – **გოგი ხარაბაძე.**

ხშირად ამას ხაზგასმით ამბობდა:

„მე პოეტი ვარ, ოღონდ ულექსო პოეტი!

ერთი სტრიქონიც კი არ დამიწერია არასდროს...

მსახიობის თამაშის „სიზუსტე“ მდგომარეობს იმაში, თუ როგორ გაუძლებს ის თავზარდამცემ წამებს, როცა მიმდინარეობს გარდასახვა – ეს „მჭკნარი ფოთლის მტკივნეული შეხებაა“ – რაც ბევრი პოეტის თანმდევი საიდუმლო ნიშანია. ამ დროს მსახიობმა თავისი ტანჯვის ყველა ბილიკი ისე უნდა გაიაროს, როგორც წმინდანმა, რათა უდრტვინველად შეინარჩუნოს „მსხვერპლად შეწირვის რიტუალი“ და ასევე, მოახერხოს თავი ახალ სახედ გარდაისახოს.

და როცა ვნახე ალეკო ცაბაძის ფილმი „მარტოობის ორდენის კავალერი“ გოგი ხარაბაძის შესრულებით, რომელიც არც ამბავს გვიყვება და არც თავგადასავალს. მაშინ დიდი მარტოსულის, პოეტ გალაკტიონის მეტაფიზიკური სილუეტი მხოლოდ და მხოლოდ ილანდება და აქ გადამწყვეტი იყო და უმთავრესი, თუ მსახიობი გოგი ხარაბაძე როგორ გაართმევდა თავს ამ გათოშილ მდგომარეობაში შესვლასა და იმ თავზარდამცემი გაუცხოების ტკივილის გამოსახვას, რომელსაც ეს დიდი მარტოსული ატარებდა. ეს არის ფილმი, რომელშიც წარსული, აწმყო და მომავალი გაერთიანებულია და როგორც ჰამლეტი ამბობდა: „დროთა კავშირი დარღვეულია“.

ფილმს ვუყურებდი და ვტიროდი, რადგან ვიცანი ჩემი გალაკტიონი. ამის იქით კი იკითხებოდა უამრავი რამ. მსახიობის უშუალო შეხვედრა გალაკტიონთან, როცა აღმოაჩინა, რომ ის იმ დღეს „დაღლილი ნაბიჯით დადიოდა“. როცა აღმოაჩინა, რომ ოპერის თეატრთან მას უფრო მეტი აკავშირებდა, ვიდრე ეს მუსიკის მოსმენის სიხარულის გაზიარებაა. მას წაკითხული, შესწავლილი ჰქონდა პოეტის დღიურები და იცნობდა ოპერის თეატრის შესახებ მის გულისმომკვლელ ჩანაწერებს: „ჰაერში დგას უარის სურნელი“, ან „გუშინ რაღაც წყენამ გამიარა“. მან უწყოდა, რომ ამ დღიურების იქით პოეტმა კატეგორიული უარი მიიღო მისი დიდი სურვილისდა მიუხედავად, იუბილე გაემართა ოპერის თეატრში.

ფილმის დასაწყისში გალაკტიონი (გოგი ხარაბაძე) რაღაც მძრძანებლური ჟესტით შეაღებს კარს და დიდებულად, მეფურად შეაბიჯებს თავის სახლში. შემდეგ მსახიობი უაღრესად ნერვული მოძრაობებით ძირს იხრება, ძლივსძლივობით გამოაძვრენს მაგიდის სხვადასხვა კუთხეში უწესრიგოდ მიმოფანტულ თავის ჩანახატს – ოფორტებს, ძირს იხრება, რათა ისინი დაათვალიეროს. ჩვენ, თითქოსდა მისი „გაშეშებულ-გათოშილი სულის“ თანამონაწილენი ვხდებით. შემდეგ ისევ ნერვული მოძრაობით ორ მინის საჭურჭლეს გაავსებს მელნით და შემდეგ გადაწყვეტს დაპურებას...

გავიმეორებ, მსახიობს, როგორც პოეტს სამყაროში ადამიანად დაბადების თანმდევი ტკივილი მუდამ უნდა მსჭვალავდეს და მხოლოდ მაშინ იქნება ის კონცენტრირებული თავის სათქმელზე. მაგრამ საკმარისია ერთი წამითაც კი ფიქრი გაექცეს მიწიერ საგანზე, რომ მყის მისთვის დიდი სინამდვილის კარიბჭე დაიხურება და

ინმამორია – გოგი ხარაბაძე

მაგიაც გაქრება. გოგი ხარაბაძე თვითონვე აღნიშნავს: **„ლექსის წარმოჩინება – რთული საქმეა. სრულ მობილიზაციას მოითხოვს“.**

ეს მოხდა გლინკას სახელობის დარბაზში, ირაკლი აბაშიძის საღამოზე, სადაც ლექსს ქართულ ენაზე წარმოთქვამდა. უცებ, ერთი წამით დარბაზს გადახედა, ფიქრი წინა წარმატებაზე მაყურებელზე გადაიტანა... „ნეტა, აქ თუ არის ქართველი-მეთქი და მორჩა... გათავდა... ტექსტი! ტექსტი დამავიწყდა!“ და თავად აღწერს ამ შოკისმომგვრელი მდგომარეობის შედეგს: **„კულისებამდე ძლივს მივაღწიე. პიჯაკი რომ გავიხადე, იატაკის სველი ტილო გინახავთ, ისე მოადინა ზღართანი... პირში ვალიდოლი და მოკლედ, ძლივს მომასულიერეს“. (გ. ხარაბაძე)**.

გოგი ხარაბაძე თავის მოგონებებში ჩაწერს: ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში, ოჯახის მეგობარმა, იმ დროიდან სრულად ამოვარდნილმა თეატრალური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგემ – რუსუდან სოლომონოვმა-მიქელაძემ, ქალბატონმა „თეთრი კამეათი“, რუსულ-ფრანგული ინტონაციით ბირჟიდან ერთი საათით გაუჩინარებულ გოგი ხარაბაძეს შეასწავლა და შეაყვარა ბლოკის, პუშკინის, პასტერნაკის, ლევ ტოლსტოისა და სხვათა და სხვათა შემოქმედება და ასე განამზადა მისი რთული გზა...

არაერთგზის აღინიშნა, რომ ის „ორი მუზის – **ორი შემოქმედებითი სტიქიის მატარებელია“.** (ო. ჭილაძე) შესრულებული აქვს როლები თეატრში: შექსპირის „იულიუს კეისარი“, „ჰამლეტი“, „ანტონიუსი და კლეოპატრა“, „ტიტუს ანდრონიკუსი“, „რიჩარდ III“, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“;

კინოში: „გიორგობისთვე“, „მარტოობის ორდენის კავალერი“, „ჩემი მეგობარი ნოდარი“, ოთარ იოსელიანის „შანტრაპა“, ლევან თუთბერიძის „მოგზაურობა ყარაბაღში“, „დათა თუთაშხია“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „გამოცხადება“;

ტელეფილმებში: „ირინეს ბედნიერება“, „გვადი ბიგვა“, აუდიოჩანაწერებში: ბიბლია, „ვეფხისტყაოსანი“, ილია; აკაკი; ვაჟა; დავით კლდიაშვილი; გალაკტიონი; ოთარ ჭილაძე...

ხოლო როგორც მწერალს გამოქვეყნებული აქვს წიგნები: „თქვენ მომაგონდით“, „მსახიობის ჩანაწერები“, „კორქსართროზი“, „მოთხრობები და მიძღვნები“, „პირველის უკანასკნელი ღამე“, „თამადა“, „სახლი რუსთაველზე“ და ა.შ. და ა.შ.

ხშირად აღმოაჩენ, რომ მისი როლების სიღრმე განპირობებულია მისი ფართო ინტერესების სპექტრით, პატრიოტიზმით, საიდანაც ამოდინდება ულევი ენერგია, ისტორიის სიყვარული, ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე მუდმივი ღელვა და ფიქრი და ამიტომაც, მისი როლის მომზადებას წინ უძღოდა ცხოვრების კონკრეტული ფაქტების გახსენებაც, მათზე დაკვირვება-გაანალიზებაც და მხოლოდ ამის შემდეგ გულის მეხსიერებაში მისი გადატანაც. იმაზე, რომ გოგი ხარაბაძე მართლაც დიდი აქტიორია, მეტყველებს მისი ეს გამონათქვამი: **„რაც მიყვარს, ყველაფერს ვაძლევ და ვწირავ იმას. თუ არადა, არ არსებობს იგი ჩემთვის, არ მაღელვებს“.** (გ. ხარაბაძე).

უამრავი შეფასება, რეცენზია წამიკითხავს მის შესახებ, ის სამართლიანად არის მიჩნეული ისეთ აქტიორად, რომელმაც შესძლო ანალიზით, გმირის სახის გაცოცხლებაც და მაყურებლის შთაგონებაც. აქედან მინდა მოვიყვანო გიორგი გვახარიას დასამახსოვრებელი ნაწყვეტი რეცენზიიდან: **„გოგი ხარაბაძის ჩიტუნელას, რომელიც ჩემი აზრით, საუკეთესოა თავად ფილმშიც და მსახიობის კინობიოგრაფიაშიც. ფილმის სხვა უარყოფითი გმირებისაგან გამორჩევით, ჩიტუნელას „ბოროტების“ ახსნა, თითქოს არც სჭირდება, რადგან ბრეხტის სტილისტიკის ერთგული გოგი ხარაბაძე თავად ხსნის გმირის ქმედებას, უფრო სწორად, ერთგვარ დისტანციას იცავს თავის გმირთან - აფასებს მას, ზოგჯერ ირონიითაც კი“.**

ცალკე საუბრის თემაა მისი აუდიოპროექტები ბიბლია, „ვეფხისტყაოსანი“, ვაჟა, ილია, აკაკი, გალაკტიონი, წმინდა ნინოს ცხოვრება, ოთარ ჭილაძე და ა.შ. და ა.შ.

მაგრამ ყოველთვის, როცა მის ჩანაწერებს ვისმენ, თრთოლვით ვისმენ მისი ბავშვობის მოგონებას, როცა ის მხოლოდ და მხოლოდ ოთხი-ხუთიოდე წლის იყო. გაიღვიძა და ოდნავ გაღებულ კარში დედას მოჰკრა თვალი, რომელიც დაჩოქილი მხურვალედ ლოცულობდა. გოგი ხარაბაძე, ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი შეშინდა და ინტუიტურად ჩასწვდა იმას, რომ დედის იმ უჩვეულო სიმარტოვეში შეაბიჯა, სადაც რაღაც სხვა, რაღაც მიუწვდომელი სუფევდა... ეს იყო მისი პირველი ნაბიჯი, პირველი შეხება, რაც მეორედ დაბადების რთულ გზას წინ უძღოდა.

მისი მღვიძარე სული, რომელიც მუდამ შრომობდა, მუდამ იწვოდა და ამავე დროს, ცხოვრების მიმდინარეობას არ გაურბოდა, გარშემორტყმული იყო უამრავი მეგობრით, მაგრამ არასოდეს ავიწყდებოდა უფლისკენ მიმავალი ვიწრო გზის არსებობა, ერთხელაც, მეგობრებთან ერთად ასეთი გასეირნების შემდგომ გულმა სიონის ტაძრისკენ გაუწია. სანაპიროს მხრიდან მანქანა გააჩერა და სიონის ტაძრის ეზოში შევიდა და როგორც თვითონ ჰყვება: **„ხის სკამზე უწმინდესი იჯდა, მარტო... მოულოდნელობისაგან გავშეშდით! ზამთარში, შუაღამისას ტაძრის ეზოში ნამდვილად არ ველოდით მის ნახვას!“,** მაგრამ ასეა, ასეთი საჩუქარი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, გოგი ხარაბაძის ხვედრი და მაინც, რატომ გვაღელვებდა, რატომ შთაგვაგონებდა, რატომ გვაჯერებდა, რატომ დაგვაფიქრებდა ის ყოველ ჯერზე, როცა ის აქტიორობდა, როცა რეკლამატორობდა, როცა მწერლობდა – რადგან ამის იქით იგრძნობოდა მისი სულის მოძრაობა. რადგან ამის იქით იგრძნობოდა მისი სულის მოძრაობა, რომელიც ყოველთვის ადამიანის მაღალი დანიშნულებისკენ მიემართებოდა.

„ო, როგორ ეურჩება ადამიანი ღმერთს, როგორ ვერ ელევა მიწიერ ვნებებს, რადგან სისხლს ღვრის. რატომ ვერაფერი ისწავლა მან საკუთარი ან სხვისი გამოცდილებიდან? თუნდაც ჩვენ, ქართველებს, რა გვასწავლა ილიას მკვლელობამ, გალაკტიონის თვითმკვლელობამ...

ან თუნდაც, როცა ის რამაზ ჩხეიძის დაკრძალვის შემდეგ ფიქრს აჰყვება: „ასე უკვალოდ წავიდნენ ხორავა, სერგო, ეროსი, არავინ დატოვეს ვინმე ფირების გარდა... არავითარი სკოლა, მიმდინარეობა არ დატოვეს... ვულკანებივით ამოიფრქვევნენ, იმხურვალეს, იმობოქრეს და დადუმდნენ. არ გავუსწოროთ სიმარტოლეს თვალი, არ ვეძიოთ მიზეზები, არ დავფიქრდეთ?!“

და როცა მახსენდება მისი მასწავლებლის და მეგობრის, სერგო ზაქარიაძის სიტყვები: **„ბედი – თეთრი რაშია, რომელიც გაუჩერებლად დაქრის. ერთხელ იქნება, არავინ იცის, როდის ჩამოგიქროლებს და უნდა მოახტე, ამ ნახტომისათვის კი მუდმივად მზად უნდა იყო“.**

ვფიქრობ, გოგი ხარაბაძეც – მსახიობი, მწერალი და „პოეტი“, მოახტა ამ თეთრ რაშს და აღმოჩნდა, რომ მისი ცხოვრება ამ თეთრ ცხენს – თავისი ქვეყნის ბედს – მის წუხილს, სამუდამოდ დაუკავშირდა.

შაკლინ სირაძე

ძალიან საფრთხილოა, რომ ბავშვებს არ წავართვათ ბავშვობა და ისინი არ აღვზარდოთ მხოლოდ მაღალი ელიტარული ნორმებით

ბავშვთა ფსიქოლოგ ირინა ნიკოლაიშვილის რჩევები მშობლებს...

„ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ...“ – ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის ეს საქვეყნოდ ცნობილი ფრაზა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბავშვობაში განცდილი ემოციები და მიღებული შთაბეჭდილებები ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია ადამიანის პიროვნების ფორმირებაში. როგორ უნდა მივუდგეთ ბაღის ასაკის ბავშვებს, რომ მათ არ წავართვათ ბავშვობა, თუმცა, პარალელურ რეჟიმში, ვეცადოთ მათი ინდივიდუალიზმისა და თვითმყოფადობის წინა პლანზე წამოწევა?! „რეპორტიორის“ სტუმარია ბავშვთა ფსიქოლოგი ირინა ნიკოლაიშვილი.

– ქალბატონო ირინა, მინდა ჩვენი ინტერვიუ იმ ეტაპზე საუბრით დავიწყოთ, როცა მშობელი პირველად შორდება შვილს, პირველად ტოვებს მას უცხო გარემოში, მიჰყავს ბაღში და იწყებს მის მომზადებას დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ბავშვები ხომ სხვადასხვანაირები არიან და ბევრ მათგანს ძალიან უჭირს მშობელთან პირველი განშორების გადატანა... როგორ უნდა მოვიქცეთ უფროსები, რომ პატარებმა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაიტანონ ეს პროცესი და, საერთოდ, აუცილებელია თუ არა ბავშვის საბავშვო ბაღში მიყვანა?

– კი, ერთმნიშვნელოვნად, აუცილებელია! ბაღი არ არის მხოლოდ ის გარემო, სადაც ბავშვი თამაშობს, ან გარემო, სადაც მშობელს უბრალოდ შეუძლია დროის გარკვეულ მონაკვეთში უსაფრთხო ხელში დატოვოს შვილი. ბაღი ეს არის სოციუმი, რომელშიც ბავშვი გადის სოციალიზაციას, ანუ, სადაც ის სწავლობს თვითდამკვიდრებას, თავისი აზრის გატარებას, სხვისი აზრის მიმღებლობას, სოციალურ ქცევას და ჯგუფის წევრობას. მას ბაღში უწევს ისეთი საქმიანობის შესრულება, რომლის შესრულებაც, დროის იმ მონაკვეთში, შეიძლება, სულაც არ სურდეს. იღებს ისეთ საკვებს, რაც მას შეიძლება სულაც არ უყვარდეს, ან უწევს ზეიმში მონაწილეობის მიღება, რაც, ასევე, შეიძლება სულაც არ უხაროდეს. ანუ, ის ექცევა ისეთ გარემოში, როგორი გარემოც მერე ცხოვრებაშიც შეხვდება, ჩვენც, დიდებსაც ხომ გვიწევს ისეთი საქმიანობის შესრულება, რაც შეიძლება სულაც არ გვსურს, მაგრამ ვალდებულნი ვართ... ანუ, ბაღი, ეს არის ის ეტაპი, რომელიც აუცილებლად უნდა გაიაროს ბავშვმა, რათა მან დაიწყოს არა მარტო დადებითი, არამედ რაღაც უარყოფითი სიტუაციების დაძლევაც, რომ მოემზადოს ცხოვრებისთვის! ბავშვისთვის ადვილი არ არის მშობელთან პირველი განშორება, ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ მშობლებს, ამ დღისთვის მოამზადონ არა მხოლოდ ბავშვები, არამედ მოემზადონ თავადაც.

– როგორ უნდა მოემზადონ მშობლები ამ დღისთვის და როგორ უნდა მოამზადონ შვილები?

– თუ მშობელი სამ წლამდე ბავშვს ატყობს, რომ უჭირს კომუნიკაცია, არ უყვარს სტუმრების მოსვლა, უჭირს სხვა ბავშვებთან სათამაშოს გაზიარება, უჭირს მისი აზრის ორ ან სამ ადამიანთან გამოხატვა, ეს ცალსახად აძლევს მას იმის ნიშანს, რომ ასეთ ბავშვს, ბაღში მოხვედრის პირველივე დღიდან, ჩაუქრება სურვილი, კვლავ მოხვდეს იმავე სიტუაციაში და იგი ყველანაირად ეცდება, დარჩეს დაცულ გარემოში, სახლში, მშობლებთან, ბებია-ბაბუასთან თუ ძიძასთან. ამ მხრივ ნაკლებად პრობლემურია ბავშვი, რომელიც უფრო კომუნიკაბელურია, არა აქვს პრობლემა სხვა ბავშვებთან თამაშის და უყვარს თანატოლებთან ყოფნა. ასეთი ბავშვის მშობელს ბევრი საფიქრალი არა აქვს, თუმცაღა, გარკვეულ დეტალებს, რა თქმა უნდა, მანაც უნდა მიაქციოს ყურადღება. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, თუ როგორ უნდა მოემზადოს ამ დღისთვის მშობელი, კარგი იქნება, თუ ბაღში წასვლამდე, ყველა მშობელი თავის მიკროგარემოში მოაწყობს იმ სიტუაციის ინსცენირებასა თუ მოდელირებას, რა სიტუაციის გადალახვაც მოუწევთ სამომავლოდ, ანუ, ერთმანეთთან განშორების გადალახვა. როგორ ხდება ეს? სანამ ბავშვს მოუწევს ბაღში დარჩენა, მას უნდა მოუწიოს ბებიასთან, ძიძასთან თუ გასართობ ცენტრში დარჩენა, ანუ, მშობელთან მცირე ხნით განშორება. აქედან გამომდინარე, მცირე ხნით მის გარეშე დარჩენის ჩვევა მშობელმა უნდა გამოუმუშავოს არა უშუალოდ ბაღში წასვლის წინ, არამედ, მანამდე, თუნდაც ექვსი თვით ადრე. ეს ჩვევა ბავშვს შეიძლება გამოუმუშავდეს, როცა დედა მცირე ხნით მამასთან განმარტოვდება და ბავშვს მოუწევს ლოდინი, ან მაშინ, როცა მშობელი დროს დაუთმობს სამსახურს თუ სატელეფონო საუბარს, როცა ბავშვს ასევე მოუწევს ლოდინის ფენომენის გათავისება, ან მაშინ, როცა მას დატოვებენ ოთახში მარტოს და მისცემენ მითითებას, დაალაგოს თავისი სათამაშოები, ან დააძინოს თოჯინა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიდეს ოთახიდან... განშორების ეპიზოდს ის ასე შეეჩვევა და მიიღებს დედის გარეშე მცირე ხნით დარჩენის გამოცდილებას. შეიძლება ცოტა ხნით ბავშვი დარჩეს სკვერში სათამაშოდ და ის ვერ ხედავდეს მშობელს, მაგრამ მშობელი აუცილებლად უნდა ხედავდეს მას, რადგან, როგორც კი ბავშვი გააცნობიერებს, რომ იმყოფება მარტო და დაუცველად, და როგორც კი დაიწყებს თვალების ცეცებას, მის გვერდზე მაშინვე, აუცილებლად, უნდა გაჩნდეს დედა ან მამა, რათა მას, თუნდაც რამდენიმე წამის განმავლობაშიც კი, არ დაეუფლოს შიშის შეგრძნება.

– ქალბატონო ირინა, რა ასაკიდან არის რეკომენდებული ბავშვის ბაღში მიყვანა?

– კარგი იქნება, თუ ჩვენს ქვეყანაში მოვერგებით საკუთარ პოპულაციას და ხისტად არ გადმოვიტანთ სხვა ქვეყნების გამოცდილებას. ამის გათვალისწინებით კი, საქართველოში ბავშვი სამ წლამდე ბაღში არ უნდა მივიყვანოთ, რადგან, სწორედ ამ ასაკიდან იწყებს ის სოციალიზაციას. სამი წლის ბავშვი უკვე მზად არის კვებისთვის, „ქოთნის ინსტიტუტისთვის“, დამოუკიდებლად, მოტორული განვითარებისთვის, ჯგუფური სამუშაოებისთვის, ძერწვისთვის, ხატვისთვის, ცეკვისთვის თუ სხვა ბავშვებთან ერთად დავალების მიღების, აღქმისა თუ მითითების შესრულებისთვის.

– ახლა მინდა ყველასთვის მტკივნეულ საკითხს, გაჯეტებს შევეხოთ... ალბათ, სწორედ ბაღის ასაკისაა ბავშვი, როცა მშობელი მას პირველად აძლევს მობილურ ტელეფონსა თუ პლანშეტს. რამდენად სწორია, ბავშვის დასამშვიდებლად ან ყურადღების გადასატანად, მშობელმა გამოიყენოს გაჯეტი?

– თუ მშობელი ბავშვს აძლევს გაჯეტს და ამას შემეცნების, მისი გონებრივი განვითარების, ფერების, ფორმებისა თუ ფიგურების უკეთ აღქმის დატვირთვით აკეთებს, იმისათვის, რომ შვილმა შეიმეცნოს ცხოველები, ისწავლოს ცხოველთა ხმები, განივითაროს სმენითი და მხედველობითი აღქმა, უტვირთავს მისი განვითარების შესაბამის აპლიკაციებს და ტელეფონს აძლევს მხოლოდ მცირე დროით, ამაში არანაირი პრობლემა არ არის. თუმცა, არც ერთ შემთხვევაში ბავშვს ტელეფონი არ უნდა მივცეთ დიდი ხნით და უკონტროლოდ, ჭარბი დროით და განუსაზღვრელი ინფორმაციით, რადგან ეს აუცილებლად დატოვებს უარყოფით შედეგებს მის მეხსიერებაზე, აღქმაზე, მხედველობაზე, ემოციებზე... ერთი სიტყვით, ყველაფერზე! რაც შეეხება იმას, თუ რამდენი ხნით უნდა მივცეთ მათ გაჯეტები... როგორც უწინ იყო, ყველაფერზე ხაზის გადასმა არ ღირს. მეცნიერულად იყო დადასტურებული, რომ მულტიპლიკაციური ფილმი 10-15 წუთზე მეტი ქრონომეტრაჟის არ უნდა ყოფილიყო, რადგან დროის ამ მონაკვეთში, ბავშვის გონება მობილიზებული და ინტერესიანია, ამ დროის მერე კი, ბავშვისთვის ის ხდება მონოტონური და ჩვეულებრივი. ალბათ, ასეა მობილური ტელეფონის შემთხვევაშიც და ესაა ოპტიმალური დრო.

– რაც შეეხება გემოვნების ჩამოყალიბებას... ქალბატონო ირინა, დაახლოებით რა ასაკიდან უყალიბდება ბავშვს გემოვნება და როგორ უნდა მოახერხოს მშობელმა, რომ ბავშვი თან აზიაროს მაღალ კულტურას, ხელოვნებას, გემოვნებიან მუსიკას და, ამასთანავე, მისი პატარა არ დატოვოს მის თანატოლებში პოპულარული მულტიპლიკაციებისა თუ მუსიკის გარეშეც, რომლებიც შეიძლება სულაც არ იყოს გემოვნებიანი?

06. 11 83.

პეტრ პაველი: რუსეთის ომის მოგების შესაძლებლობა არ უნდა მიეცეს

„ჩვენ უკვე გვაქვს გამოცდილება და არ არის საჭირო იმის ვარაუდი, რომ რუსეთი არასოდეს შეეგუება ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური გავლენის დაკარგვას. ასევე აშკარაა, რომ ასეთი შედეგი შთააგონებს სხვა ქვეყნებს, რომლებიც ისევე ფიქრობენ, როგორც რუსეთი. რუსული აგრესია და მზარდი თავდაჯერებულობა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო წესრიგს, რომელიც აგებულია შეთანხმებულ წესებსა და თანამშრომლობაზე“, – აღნიშნა ჩეხეთის პრეზიდენტმა პეტრ პაველმა.



პაველმა ასევე აღნიშნა, რომ უკრაინის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია ჩეხეთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და განაცხადა, რომ საჭიროა პირობების შექმნა, რათა უკრაინა ომის დასრულებისა და აუცილებელი კრიტერიუმების შესრულების შემდეგ გახდეს ევროკავშირისა და ნატოს სრულუფლებიანი წევრი.

ამერიკის მილიონები კვლავ უკრაინაში მიედინება

აშშ უკრაინას 250 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სამხედრო დახმარების ახალ პაკეტს გადასცემს, – ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა განაცხადა.

სამხედრო დახმარების ახალი პაკეტი მოიცავს AIM-9M-ის ტიპის საჰაერო თავდაცვის რაკეტებს, HIMARS-ის რაკეტებს, 155მმ და 105მმ საარტილერიო ჭურვებს, განსანაღმ აღჭურვილობას, „ჯაველინებსა“ და სხვა ტანკსაწინააღმდეგო სისტემებს. ბლინკენის განცხადებით, ახალ სამხედრო დახმარებაში ასევე შედის სამ მილიონზე მეტი მცირე ზომის იარაღი და სასწრაფო დახმარების მანქანები.

ცნობისთვის, ომის დაწყების შემდეგ აშშ-ის სამხედრო დახმარების ჯამური ღირებულება უკრაინისთვის დაახლოებით 44 მილიარდ დოლარს აღემატება.

სჯობს, მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდეთ!

უნგრეთის პრეზიდენტმა, კატალინ ნოვაკმა უკრაინას რუსეთთან მოლაპარაკებებისკენ მოუწოდა.

„ომი უკვე წელიწად-ნახევარია გრძელდება და მე ვერ ვხედავ ვერანაირ სამხედრო გადაწყვეტილებას, რომელიც შედეგად გამოიღებდა სტაბილურ და გრძელვადიან მშვიდობას. ამიტომ აუცილებელია მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომა. მე ეს მტკიცე მოსაზრება გამოვთქვი უკრაინის პრეზიდენტთან, საჯაროდაც და პირადადაც“, – განაცხადა კატალინ

პროსტიტუციის ისტორია

პატიოსან ქალბატონებს ეკრძალებოდა მდიდრული სამოსელისა და ყვავილებიანი კაბების ტარება

საერთაშორისო ორგანიზაცია GLOBAL SLAREZY-ს მონაცემებით, მთელ მსოფლიოში დღესდღეობით დაახლოებით 40 მილიონი მონაა, რომელთაგან 15,4 მილიონი იძულებით ქორწინებაში იმყოფება ან განუკითხავ სექსუალურ ექსპლუატაციას განიცდის. 40 მილიონ მონაში 71 პროცენტი ქალია, დანარჩენი მამაკაცი და ბავშვი. იძულებითი შრომის გარდა, ბავშვებსაც, ქალების დარად, პროსტიტუციას აიძულებენ. მონობა და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია უფრო მეტად პაკისტანში, ჰაიტისა და მავრიტანიაში.

ანტიკური სახელმწიფოს დამოკიდებულებას პროსტიტუციისადმი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გვიანდელ დროში ევროპის სახელმწიფოებში მის განვითარებასა და მოწყობის წესზე, რამაც, თანამედროვე ხალხთა სოციალური სტრუქტურის სრული ცვლილებების მიუხედავად, გავლენა ჩვენს დრომდე შეინარჩუნა. პროსტიტუციის სამართლებრივი და სოციალური სტატუსი, ძირითადად, კვლავაც ძველ სამყაროში გამატონებულ შეხედულებებს ემყარება, თუმცა კი ანტიკური პროსტიტუცია მონობის გარკვეული ფორმა იყო, ხოლო ჩვენს დროში მას უკვე თავისუფალი ადამიანები, ანუ დაქირავებული მონები მისდევენ **(ამ შემთხვევაში, ცხადია, ლაპარაკი არაა იძულებით მეძავობაზე – ო. ტ.)**. განა უცნაური არ არის, რომ პროსტიტუციის თანამედროვე „რეგლამენტაცია“, თავისი არსით, დღესდღეობით ტიპური მონათმფლობელური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ფორმით არსებობს. არადა, თანამედროვე სახელმწიფოში, მისი არსებობა, ყველა წესით, საერთოდ მიუღებელი უნდა იყოს!

იმის გათვალისწინებით, რომ ანტიკურ ხანაში მონობა სახელმწიფოსთვის უაღრესად სარგებლიან, სიკეთის მომტან ინსტიტუტად მიიჩნეოდა, ის სათანადოდ წახალისებულიც იყო, რაც ავტომატურად მეძავობაზეც ვრცელდებოდა. სოლონის მეძავები სახელმწიფო მონები იყვნენ, ამდენად ყველა სხვა ეატეგორიის მონებივით, მათაც ხაზინისთვის შემოსავალი უნდა მოეტანათ. მათ ზედამხედველობას კი საგანგებო მოხელეები – „ასტინომენები“ ახორციელებდნენ, რომელთაც გარდა ამისა, კიდევ მშენებლობების, ბაზრებისა და ქუჩების სისუფთავის კონტროლი ჰქონდათ დაკისრებული. ბორდელების გარდა ისინი ქუჩის მეძვებსაც მეთვალყურეობდნენ და მომსახურების გასამრჯელოს ოდენობასაც განსაზღვრავდნენ. „ასტინომენების“ ინსტიტუტს რომში „ედილების“ სამსახური შეესაბამებოდა, რომლებიც მეძავ ქალებსაც და მამაკაცებსაც ზედამხედველობდნენ. ცალკეა აღსანიშნავი, რომ პროსტიტუციის გადასახადი წმინდა წყლის გერძნული ინსტიტუტიც იყო, ხოლო რომში, შემოსავლის ნაწილის, კერძოდ, ერთ სქესობრივ აქტში მიღებული თანხის სრულად გადახდის წესი, მეძავთათვის მხოლოდ კალიგულას იმპერატორობის ხანაში შემოიღეს.

საბერძნეთში, რომისგან განსხვავებით, კანონით განსაზღვრული იყო ორივე სქესის მეძავთათვის რაიმე განსაკუთრებული სამოსლის, ანდა ტანსაცმელზე რაღაც განსაკუთრებული ნიშნის ტარება, რომლითაც ბრწყინვალედ შეიძლებოდა მათი გამოცნობა. რაც შეეხება ზოგადად ქალთა ჩაცმულობას, პატიოსან ქალბატონებს ეკრძალებოდა მდიდრული სამოსელისა და ყვავილებიანი კაბების ტარება, თუმცა საგანგებოდ მეძავთა ჩაცმულობასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული ნორმები დადგენილი არ ყოფილა.

თუმცა კი მოგვიანებით, ეს დაუდგენელი წესი შეიცვალა და რომში მეძავობასთან მიმართებაში გარკვეული შეზღუდვები დაწესდა. კერძოდ, სენატის დადგენილებით და ქალთა გარყვნილების ასალაგმად, **საკუთარი სხეულით ვაჭრობა ეკრძალებათ მათ, ვისი პაპა, მამა ან ქმარი რომაელი მხედარი იყო. თანაც, თუკი ქალი მეძავობას განაწყვეტდა, ამის თაობაზე საჯაროდ უნდა განეცხადებინა, რის შემდეგ სათანადო საბუთი – მატრიკული – უნდა მიეღო და სახელი შეეცვალა. ამის შემდეგ იგი პატიოსანი ქალბატონებისთვის დადგენილი სამოსელის ჩაცმისა და სამკაულების ტარების უფლებას კარგავდა.**

პატიოსანი ქალები, მატრონები, ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა მათსა და მეძავებს შორის რაც შეიძლება გადაულახავი სოციალური ზღუდეები ყოფილიყო, რასაც ხელისუფალნიც უჭერდნენ მხარს. ამას თუნდაც თავისუფალ მოქალაქეთა მეძავებზე ქორწინების აკრძალვა ადასტურებს, თუმცა კი დიდი სიყვარულით ასეთი წყვილების შეერთების მაგალითები ანტიკურ ლიტერატურაში მრავლადაა ცნობილი.

ანტიკურ ხანაში მეძავებთან დაკავშირებული ერთი განსაკუთრებული გარემოებაა საყურადღებო. **მიუხედავად იმისა, რომ მეძავი სოციალური თვალსაზრისით, უღირსი არსებაა, მასთან შეხვედრა მედნიერების მომტანია.**

როგორ შეიძლება ამ ცრურწმენის ახსნა?

როგორც ჩანს, აქ **საქმე გვაქვს მეძავის ხასიათის, როგორც მოუთოკავი, ყოვლად შეუზღუდავი სქესობრივი ცხოვრების წარმომადგენლის, კავშირს თავისუფალ, შეუზღუდავ გამრავლებასა და ნაყოფიერებასთან, რასაც კეთილდღეობა და აღმავლობა მოსდევს. ამიტომაც იყო, როგორც ჩანს, მედნიერების მომტან ნიშნად მიჩნეული მეძავთან შეხვედრა ადრე შუასაუკუნოვან გერმანიაში, ინგლისსა და საფრანგეთშიც და პირიქით: შეხვედრა უშვილო და სქესობრივი ურთიერთობის არმქონე პირთან, ვთქვათ, მებერ ქალთან თუ ნორჩ ქალწულთან, ანდა კათოლიკე მღვდელთან, კარგ ნიშნად არ ითვლებოდა, რადგან მას უნაყოფობას, წარუმატებლობასა და უბედურებას უკავშირებდნენ.**

ასევე გაოცებას იწვევს ის როლი, რომელსაც ასრულებდნენ მეძავები საჯარო დღესასწაულების დროსა და რელიგიურ ცერემონიებში, რაც ნაყოფიერებას და მასთან დაკავშირებულ ფალოსის პირველყოფილ კულტს უკავშირდება. საქმე ზოგჯერ იქამდე მიდიოდა, რომ ცნობილია მეძავთა გაღმერთების მაგალითებიც კი!

ისიც უნდა ითქვას, რომ ელინურ ეპოქასა და რომაული იმპერიის დროსაც, მეძავები უდიდეს, ხშირად წამყვან როლს ასრულებდნენ საერო ცხოვრებაშიც. მაგალითად, ისინი მაღალი საზოგადოების ყველა ნადიმისა და სხვადასხვა თამაშების აუცილებელი მონაწილენი იყვნენ, მარტო მათ ჰქონდათ თეატრში თანმხლები პირის გარეშე მისვლის უფლება. ძველი სამყაროს ცხოვრებაზე პროსტიტუციის უდიდესი ზეგავლენა ყველაზე გამოკვეთილად ჩანს ანტიკურ მხატვრულ ლიტერატურაში. არსებითად, შეიძლება განსვასხვავოთ ლიტერატურულ ნაწარმოებთა სამი სახეობა, რომლებშიც მეძავებს ან გამორჩეული ადგილი ეკავათ, ანდა საგანგებოდ მეძავთა და მათი კლიენტებისთვის იყო დაწერილი. ესენია, ა) კომედიები; ბ) მონოგრაფიები მეძავთა შესახებ და გ) სპეციფიკური ეროტიკული და პორნოგრაფიული ლიტერატურა. კომედიებში აისახებოდა ბორდელებისა და ცალკეულ როსკიპთა ცხოვრებისეული პერიპეტიები, ბიოგრაფიები, ამდენად ისინი არსებითად, ცნობილი ჰეტერების თავისებური კატალოგებს წარმოადგენდნენ. თუმცა კიდევ არსებობდა ანეკდოტების კრებულები, ცხოვრებისეული კოლიზიების აღწერები, ასევე ფილოსოფიური ხასიათის დიალოგები თუ მონოლოგები. მესამე ტიპს კი განეკუთვნებოდა ეროტიკულ-პორნოგრაფიული ლიტერატურა, რომელიც მოიცავდა ეროტიკული სიყვარულისადმი მიძღვნილ პოეზიას, ასევე ამ თემაზე დაწერილ რომანებს, მოთხრობებს, სტატიებს. **ბერძნები შეიძლება მივიჩნიოთ ეროტიკული ლიტერატურის ფუძემდებლად,** მამამთავრად კი **სოტადესი მარპეურიდან,** რომელიც პტოლომეუს II ფილადელფოსის მეფობის ხანაში თხზავდა თავის უხამს ნაწარმოებებს.

ცალკეა აღსანიშნავი, რომ სხვადასხვა სახეობის ეროტიკულ-პორნოგრაფიული ლიტერატურის გარდა, ანტიკურ საზოგადოებრივ სივრცეში ფართოდ იყო გავრცელებული ასეთივე შინაარსის ფერწერა და ქანდაკება, მათ შორის პრიაპული სვეტები, ფალოსური სიმბოლოები, ავგაროზები, სათამაშოები და საყოფაცხოვრებო საგნებიც კი.

ხელოვნებაში პროსტიტუციის თემა აისახებოდა ცნობილი ჰეტერების პორტრეტებსა და ქანდაკებებში, ლანგრების მოხატვაში, ბორდელების ყოველდღიური ყოფის ამსახველ ფერწერულ ტილოებსა და პლასტიურ ნაწარმოებებში.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ **ანტიკური ხანის ეროტიკული ხელოვნების მოტივებისა და ფორმების გაგება შეუძლებელია მათი პროსტიტუციის მიმართ დამოკიდებულების გაუთვალისწინებლად.** ასევე მნიშვნელობა ჰქონდათ მათ გაცილებით გვიანდელ ხანაში: შუა საუკუნეებსა და თანამედროვეობას ამ მხრივ რაიმე სიახლე არ მოუტანიათ.

მოამზადა
ოთარ ტურაგელიძემ
(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №83, 85-87, 90, 93

ნოვაკმა. ამასთან, უნგრეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ბუდაპეშტი აპირებს, უკრაინის „მშვიდობის ფორმულას“ შეუერთდეს. კატალინ ნოვაკის თქმით, უნგრეთი მნიშვნელოვნად მიიჩნევს თავის მონაწილეობას ნებისმიერ პროცესში, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობას. ასევე, მისი განცხადებით, უნგრეთი მტკიცედ გმობს რუსეთის ინტერვენციას.

უნგრეთის პრეზიდენტმა „ყირიმის პლატფორმის“ ფორუმში მიიღო მონაწილეობა, ასევე მოლაპარაკებები გამართა ვოლოდიმირ ზელენსკისთან.

პაპი რომის პაპს შემოსწყრნენ

რომის პაპი რუსი ახალგაზრდების მისამართით გაკეთებულ განცხადებაზე უკრაინული მხარის კრიტიკას პასუხობს.

საუბარია რომის პაპის იმ განცხადებაზე, რომლითაც მან რუსეთის ახალგაზრდებს მიმართა, მათ წმინდანების, მმართველების, პეტრე პირველისა და ეკატერინე მეორის „დიდი რუსეთის“ და უდიდესი განათლების, კულტურისა და ჰუმანურობის მქონე იმპერიის შთამომავლები უწოდა, მოუწოდა მათ, რომ დაიცვან ეს მემკვიდრეობა.

ამაზე შეშფოთება გამოთქვა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. საგარეო უწყების შეფასებით, პაპი ფრანცისკეს ეს მიმართვა იმპერიალისტური პროპაგანდის ტოლფასია. უკრაინული მხარის საპასუხოდ განცხადება გაკეთდა ვატიკანში.

„რომის პაპი მოუწოდებდა ახალგაზრდებს, შეინარჩუნონ და განავითარონ რუსეთის სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის დადებითი მხარეები. ეს ნამდვილად არ არის იმპერიალისტური ლოგიკისა და სახელმწიფო მოღვაწეების ქება“, – განაცხადეს ვატიკანში.

25 აგვისტოს რომის პაპმა რუსეთის კათოლიკე ახალგაზრდებისადმი ონლაინმიმართვისას შემდეგი განცხადება გააკეთა:

„არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ ხართ დიდი დედარუსეთის, დიდი ქვეყნის, მისი ისტორიის, მისი წმინდანების, მისი დიდი კულტურული მოღვაწეების მემკვიდრეები. თქვენ ხართ დიდი რუსეთის მემკვიდრეები, ამიტომ გმადლობთ. გმადლობთ, რომ იცით, როგორ იყოთ ჭეშმარიტი რუსები. შეინახეთ ეს მემკვიდრეობა, გაუფრთხილდით მას“.

ბრიტანეთის პარლამენტი ცეცხლს ეთამაშება

დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა პირველად უწოდა ტაივანს დამოუკიდებელი ქვეყანა.



ახალმა ფორმულირებამ, რომელიც თემთა პალატის საგარეო საკითხთა კომიტეტის მიერ გავრცელებულ დოკუმენტშია გამოყენებული, შესაძლოა პეკინის მხრიდან მწვავე რეაქცია გამოიწვიოს.

„ტაივანი უკვე წარმოადგენს დამოუკიდებელ ქვეყანას სახელად ჩინეთის რესპუბლიკა. ტაივანს აქვს ყველა საჭირო თვისება სახელმწიფოებრიობისთვის, მათ შორის მუდმივი მოსახლეობა, გარკვეული ტერიტორია, მთავრობა და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარების უნარები – მას აკლია მხოლოდ დიდი საერთაშორისო აღიარება“, – აღნიშნულია თემთა პალატის საგარეო საკითხთა კომიტეტის მოხსენებაში.

◎ მუნდიალი – 2023

სიმართლე კი ასეთია

არის მე-2 ეტაპი!

ჯგუფური რაუნდის პირველი შეხვედრის სასტარტო ხუთეულმა რომ ვერ გაგვიმართლა, უკვე გაუწყეთ, მაგრამ ილიას ზუროსი საკუთარი არჩევანის ერთგული დარჩა და სლოვენიასთანაც ანდრონიკაშვილს, ტკივილგამაყუჩებლებით მოთამაშე სანაძეს, ოპტიმალური კონდიციებიდან ამოვარდნილ, ნახევარი გუნდის მსგავსად ტურისტად ქცეულ მაკფადენს, შენგელიასა და შერმადინს გამოუცხადა ნდობა.

შედეგი ამჯერადაც სავალალო აღმოჩნდა – მე-5 წუთზე 2:14(!). გერძენმა მწვრთნელმა ამჯერადაც მხოლოდ ამის შემდეგ ჩააგბა ბრძოლაში ცინცაძე-გითაძე-მამუკელაშვილის ტრიო და გიჭებმა პირველი პერიოდი გმირულად მოიგეს – 17:16, მაგრამ ის, რაც საკმარისი აღმოჩნდა კაბო ვერდეს გუნდის გასატეხად, ეპიზოდად იქცა ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან უთანასწორო დუელში – აქედან მოყოლებული, მრისხანე მეტოქე ყველაფერში გვჯობდა და დამსახურებულადაც მოგვიგო.

საქართველო – სლოვენია 66:87
17:16, 16:29, 17:18, 17:25

საქართველო: მამუკელაშვილი – 21, 7, 1, ჯინჭარაძე – 12, 0, 1, შენგელია – 9,4, 4, გითაძე – 7, 6, 3, მაკფადენი – 5, 1, 3, ცინცაძე – 5, 2, 7, შერმადინი – 4, 6, 1, ანდრონიკაშვილი – 2, 1, 0, სანაძე – 2 ქულა.

სლოვენია: დონჩიჩი – 34, 10, 6. კ. პრეპელიჩი – 15, 4, 2. ზ. დრაგიჩი – 12, 1, 3. ტობი – 8, 6, 3. ბლაჟიჩი – 6 ქულა, ჰორვატი – 6, 2, 0, ზ, პრეპელიჩი – 3, 8, 1, ნიკოლიჩი – 2, 4, 4, გლასი – 2 ქულა, ცეგასეკი – 3 მოხსნა, დემეცი – 1 მოხსნა. ითამაშა აგრეთვე სამარმა.

ჯვაროსანთა ელადელმა თავკაცმა, როგორც სჩვევია, მარცხი მსაჯებს დააბრალა – პირველ ტაიმში ჩვენ 26-ჯერ დაგვაჯარიმეს, სეკულიჩის გუნდი კი მხოლოდ 6-ჯერო, იმაზე კი არაფერი უთქვამს, რატომ დააბრუნა სათადარიგოთა სკამზე ჯინჭარაძე მაშინ, როცა იგი ბრძოლაში ღირსეულად ჩაება და ზედიზედ 2 სამქულიანი ჩააგდო.

ცეცხლზე ნავთი დაასხეს ტელეკომენტატორებმა – რადად დონჩიჩმა დაგვჩაგრაო, თითქოს მის პარტნიორებს საშემსრულებლო ოსტატობა და კლასი აკლდეთ. კი ბატონო, ლუკა გენიოსია, მაგრამ გადახედეთ მატჩის ოქმს და დანარჩენ ექს-იუგთა პირადი სტატისტიკაც დაგარწმუნებთ მათ პროფესიონალიზმში. რასაკვირველია, როგორც ბალკანელებს ვიცნობთ, არც ისინი ამბობენ უარს სიმულაციაზე, ვითომცდა წესების დარღვევის გაფორმებასა თუ მსაჯებზე მუდმივ ზემოქმედებაზე, მაგრამ რა ვუყოთ ორივე ფარის პირწმინდად წაგებასა და ძველი რეციდივის – საკმაოდ ბევრი საჯარიმო ტყორცნის გაფუჭებას?

ამავე დროს, ქებას იმსახურებენ მამუკელაშვილი და ზემოთ უკვე ნახსენები ჯინჭარაძე, მაგრამ ფაქტია, რომ ორი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანდა, მით უმეტეს თანამედროვეობის საკალათბურთო გრანდთან.

საბედნიეროდ, იმავე დღეს კაბო ვერდემ ვენესუელა დასცა – 81:75 და ამოცანა გაგვიადვილა – დასკვნითი შეხვედრა სამხრეთამერიკელებთან 16 და მეტი ქულით არ უნდა წაგვეგო; ხოლო თუ ამ პროგრამა – მინიმუმს წარმატებით შევასრულებდით, უმოტივაციო სლოვენია აფრიკელებს არ უნდა დასწოლოდა – დონჩიჩი და ტავარეში ხომ რეალში ერთად თამაშობდნენ. მოკლედ, უნდა მოგვეგო და შემდეგ ეტაპზე ვიყავით...

ბედად, ვენესუელას საკადრო პრობლემები დაუგროვდა – განაცხადში მხოლოდ 10 მოთამაშე ჰყავდა, ტრავმების გამო გამოკლებულთა შორის კი გუნდის ერთადერთი ლეგიონერი – კარერა (ესპანეთის ესტუდიანტესი) მოხვდა. მიუხედავად ამისა, მეტოქემ ბოლო ორი პერიოდი მოგვიგო, თანაც სამქულიანებითაც გვაჯობა (6:5), რაც მათი ძირითადი კოზირია (წინა შეხვედრებში 72-დან 28 ჩააგდეს).

მართალია, გუშინდლამდე ტურნირზე ყველაზე მეტი – 18 დაკარგვა გვქონდა, მაგრამ ზუროსმა ისევ ის სასტარტო ხუთეული შეარჩია, რომელმაც, როგორც იქნა, გაუმართლა – 21:10 შვიდ წუთში. ბიჭებმა დაცვაში შესანიშნავად ითამაშეს შესვენებამდე და მეორე პერიოდში მხოლოდ 4 ქულა მიიღეს, მაგრამ მეორე ტაიმში მოეშვნენ და მეორე ჯგუფურ ეტაპზე თავის აუტკივებლად გავიდნენ – 70:59 (24:19, 18:4, 17:21, 11:15).

საქართველო: შენგელია – 25, 3, 3. გითაძე – 11, 11, 0, ანდრონიკაშვილი – 9, 1, 2, სანაძე – 9, 1, 3, ჯინჭარაძე – 4, 9, 1, შერმადინი – 4, 3, 0, მაკფადენი – 3, 2, 2, ცინცაძე – 3, 0, 1, მამუკელაშვილი – 2, 3, 2.

მაშ ასე, ხანმოკლე დასვენება და უმძიმესი მატჩები ხვალ გერმანიასა და 3 სექტემბერს ავსტრალიასთან. იქნებ, მათთანაც გავისროლოთ.

◎ ლეგიონერი

გიორგი მიქაუტაძემ „აიაქსთან“ კონტრაქტი ოფიციალურად გააფორმა

გიორგი მიქაუტაძე კარიერას „აიაქსში“ გააგრძელებს – საქართველოს ნაკრებისა და „მეცის“ თავდამსხმელმა ამსტერდამში სამედიცინო შემოწმება გაიარა და ნიდერლანდურ გრანდთან კონტრაქტი გააფორმა. „აიაქსსა“ და „მეცს“ შორის მოლაპარაკებები სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეებში დაიწყო და წარმატებით დასრულდა. გიორგი მიქაუტაძეს ხუთი გუნდი იწვევდა, მაგრამ „ლიონს“, „რენს“, „შეფილდსა“ და „ლაციოს“ „აიაქსი“ ამჯობინა.

სხვადასხვა წყაროების გავრცელებული ინფორმაციით, მათ შორის, ავტორიტეტული ფრანგული გამოცემა L' Equipe-ის ცნობით, ეს ტრანსფერი „აიაქსს“ თითქმის 20 მილიონი ევრო დაუჯდება. ამგვარად, მიქაუტაძე იქნება „მეციდან“ წასული ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე.

„ლიონის“ საფეხბურთო აკადემიის აღზრდილი 2017 წელს „მეცში“ გადავიდა. 2020/21 წლების სეზონის დაწყებამდე იჯარით თამაშობდა ბელგიის პირველი დივიზიონის „სერენში“, სადაც ბომბარდირი გახდა და ლიგის სეზონის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. ამავდროულად, მისმა კლუბმა ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა და ჟუპილერ ლიგაში გადასასვლელ პლეი-ოფში გავიდა, სადაც „ვაასლანდ ბევერენი“ დაამარცხა – ორრაუნდიან დაპირის-პირებაში მიქაუტაძემ სამი გოლი გაიტანა და გუნდს დაწინაურებაში დაეხმარა.

გიორგი „მეცში“ 2022 წლის ზაფხულში დაბრუნდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდა – 2022/2023 წლების სეზონში ექვსჯერ დაასახელეს ლიგა 2-ის კვირის სიმბოლურ გუნდში, გახდა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი, საუკეთესო თავდამსხმელი და სეზონის საუკეთესო მოთამაშე, ხოლო „მეცის“ საფრანგეთის ლიგა 1-ში დაბრუნებაში დიდი როლი ითამაშა.

საფრანგეთში დაბადებული თავდამსხმელი საქართველოს ნაკრებში პირველად 2021 წლის მარტში გამოიძახეს. მისი დებიუტი ერთვნულ გუნდში 25 მარტს, შვედეთის ნაკრებთან მატჩში შედგა. ერთვნული ნაკრების შემადგენლობაში პირველი გოლი 2021 წლის 2 ივნისს, რუმინეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში გაიტანა.

გიორგი მიქაუტაძე შოთა არველაძის და გიორგი ქინქლაძის შემდეგ მესამე ქართველი მოთამაშეა, რომელიც „აიაქსში“ ითამაშებს.

◎ ოვალური ბურთი

4 ნაცნობი და მთლად ჩვენიანი

მსოფლიო თასამდე ერთი კვირით ადრე ცნობილი გახდა იმ მსაჯთა ვინაობა, ვინც საფრანგეთის სტადიონებზე მორჯღალოსანთა ჯგუფური რაუნდის შეხვედრებს მოემსახურება. ისინი სარაგბო სამყაროში აღიარებული პროფესიონალები არიან და ადრე უშუალოდ გაძღოლიან საქართველოს ნაკრების მატჩებს:

9 სექტემბერი (პარიზი) – ავსტრალიასთან (ლუკ პირსი – ინგლისი).

23 სექტემბერი (ტულუზა) – პორტუგალიასთან (პოლ უილიამსი – ახალი ზელანდია).

30 სექტემბერი (მორდო) – ფიჯისთან (კარლ დიქსონი – ინგლისი).

27 ოქტომბერი (ნანტი) – უელსთან (მეთიუ რეინალი – საფრანგეთი). სხვათა შორის, სწორედ მან იმსაჯა მორჯღალოსანთა ბოლო საზაფხულო ტესტი შოტლანდიაში, სადაც ჩვენი გუნდის შერკინების კვაჭმა შალვა მამუკაშვილმა მე-100 სანაკრებო კეპი მოიხვეჭა და მე-6 ცენტურიონი გახდა, ვინც აღნიშნულ ზღვარს უწია.

ვფიქრობთ, არანაკლებ დაგაინტერესებთ იმ მატჩების განრიგი, რომელთა გაძღოლის პატივიც ახალგაზრდა ქართველ არბიტრს ნიკა ამაშუკელს ხვდა წილად. ასეთი სულ 7 შეხვედრაა და მათგან სამში იგი მთავარი მსაჯი იქნება, ხოლო ოთხში – კიდეზე:

9 სექტემბერი (მორდო) – ირლანდია – რუმინეთი (მთავარი).

10 სექტემბერი (მარსელი) – სამხრეთ აფრიკა – შოტლანდია (კიდეზე).

17 სექტემბერი (ნიცა) – ინგლისი – იაპონია (მთავარი).

22 სექტემბერი (სენტ ეტიენი) – არგენტინა – სამოა (კიდეზე).

24 სექტემბერი (ნიცა) – შოტლანდია – ტონგა (კიდეზე).

1 ოქტომბერი (სენტ-ეტიენი) – ავსტრალია – პორტუგალია (მთავარი).

7 ოქტომბერი (ლილი) – ინგლისი – სამოა (კიდეზე).

ორიოდე სიტყვით

ტატამზე

თავისთავად, 6 მედალს არაფერი დაეწუნება, მაგრამ როცა ძიუდოზე ვსაუბრობთ, ამ შემთხვევაში ცოტა სხვაგვარადაა საქმე.

დიახ, ტატამის ქართველმა დიდოსტატებმა ისე მიგვაჩვიეს უმაღლეს ტიტულებს, რომ ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში გამართული კადეტთა მსოფლიოს ჩემპიონატის 2 ვერცხლი და 4 ბრინჯაო მევრისთვის შეიძლება წარმატება იყოს, მაგრამ ჩვენთვის – არა.

ასეა თუ ისე, გაგაცნობთ ბალკანური ფორუმის პრიზიორთა ვინაობას: **ვერცხლი** – მერაბ სამადაშვილი (55) და ცოტნე ბახტაძე (73); **ბრინჯაო** – შოთა ბაჩოშვილი (50), გიორგი გივიშვილი (66), გიორგი ბენდელიანი (81) და შოთა გოჩიაშვილი (90).

რაც შეეხება გუნდურ ტურნირს (მიქსი), ჩვენი ნაკრები სტარტზევე დამარცხდა იაპონიასთან.

კუნგფუ

აღმოსავლური ორთაბრძოლების მექაში – ჩინეთში დასრულდა 70 ქვეყნის მონაწილეობით გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი კუნგფუში, რომელშიც შესანიშნავად იასპარეზა საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაციის ნაკრებმა.

22 მედალი – 3 ოქრო, 6 ვერცხლი და 13 ბრინჯაო – ასეთია ჯვაროსანთა შთამბეჭდავი აბიური ნადავლი.

ცისქვეშეთში გამართულ ფორუმზე განსაკუთრებით გვასახელეს სუსტი სქესის წარმომადგენლებმა, რომლებიც ორჯერ ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე – სოფიკო აფხაზავა და მაკა გაბესკირია. ჩვენი გუნდიდან მესამე ტრიუმფატორი გიორგი გერმანოზაშვილი გახდა.

ხალიჩაზე

გასაპაროვდა იმ ფალავანთა წინასწარი განაცხადი, რომლებიც 16-24 სექტემბერს სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში პარიზის 2024 წლის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატზე იჭიდავებენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრებები ათივე წონაში იასპარეზებენ ორივე სახეობაში და შეეცდებიან, შარშან იქვე გამართულ მუნდიალზე ნაჩვენები მჭლე შედეგი გააუმჯობესონ (2 ვერცხლი – კლასიკოსები და 4 ბრინჯაო – თავისუფლები).

ბერძნულ-რომაული ჭიდაობის გუნდი: ნუგზარ წურწუმია (55), ფრიდონ აბულაძე (60), ლერი აბულაძე (63), ჯონი ხეცურიანი (67), რამაზ ზოიძე (72), იური ლომაძე (77), გელა ბოლქვაძე (82), ლაშა გომბაძე (87), რომერტ კობლიაშვილი (97), იაკობ ქაჯაია (130).

თავისუფალი ჭიდაობის გუნდი: ბექა ბუჯიაშვილი (57), შოთა ფარტენაძე (61), ედემ ბოლქვაძე (65), გიორგი ელბაქიძე (70), ავთანდილ კენჭაძე (74), ვლადიმერ გამყრელიძე (79), ტარიელ გაფრინდაშვილი (86), მირიან მაისურაძე (92), გივი მაჭარაშვილი (97), გენო პეტრიაშვილი (125).

ანაკლიას პოპულარიზაცია აპალია, არამხოლოდ უცხოელმა ტურისტებმა, ქართველებმაც არ იციან ჩვენს შესახებ.

ზღვისპირეთში ზაფხულის ტურისტული სეზონი დასასრულისკენ მიდის, თუმცა წლევანდელი წელი ტურისტული ობიექტებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო, როგორც ვიზიტორების სიმცირის, ასევე კახოვკის ჰესის აფეთქების შემდეგ შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის ირგვლივ არსებული მითქმა-მოთქმის გამო.

როგორ მიმდინარეობს შავიზღვისპირეთში ტურისტული სეზონი, ამის შესახებ სასტუმრო „თეთრი სახლი ანაკლიაში“ დამფუძნებელმა მარინე თოდუამ ისაუბრა. მისი თქმით, ანაკლიის მთავარი პრობლემა ისაა, რომ კურორტს პოპულარიზაცია აკლია.

„ანაკლიაში ყველა სახის მიზნესი თავის მხრივ ყველაფერს აკეთებს დამსვენებელს კომფორტული გარემო და ხარისხიანი სერვისი შესთავაზონ, თუმცა სასტუმროს მიღმა კურორტზე ტურისტული ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელია.

კურორტს უამრავი გამოწვევა აქვს. მაგალითად, ხშირად ელექტროენერგიის არქონაა პრობლემა. ანაკლიის ცენტრალურ ქუჩას განათებები აკლია, გასაახლებელია ველობილიკები, მოსაგვარებელია მიუსაფარი ძაღლების პრობლემაც. სეზონის დაწყებამდე მიზნესთან ერთად ამ ყველაფრის მოწესრიგება უნდა ხდებოდეს.

ანაკლიას პოპულარიზაცია ძალიან აკლია, არამხოლოდ უცხოელმა ტურისტებმა, არამედ ქართველებმაც კი არ იციან ჩვენს შესახებ. მიმდინარე სეზონზე დატვირთულობა დაახლოებით 80%-მდე იყო, ამ მხრივ ივლისი-აგვისტოში უფრო მეტი სტუმარი გვყავდა, თუმცა სირთულეების მიუხედავად ფასები გასულ წელთან შედარებით არ გაძვირებულა“, – ამბობს მარინე თოდუა.

კანონდარღვევა არ დადასტურდა

კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, საზღვაო გადაზიდვების სექტორში წარმოებული მოკვლევა დაასრულა, რომელიც ორი მიმართულებით – დომინანტური მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სავარაუდო დარღვევის ფაქტს ეხებოდა, – კონკურენციის ეროვნული სააგენტო აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

„სააგენტომ მოკვლევა – MGL GEORGIA-ს საჩივრის საფუძველზე, „ჯნს ჯორჯიას“ წინააღმდეგ, 2022 წელს დაიწყო. კერძოდ, მომჩივანი კომპანიის აზრით, შპს „ჯნს ჯორჯია“ როგორც ჩინეთში დაფუძნებული საზღვაო ხაზის Cosco Shipping Lines-ის ოფიციალური წარმომადგენელი – დომინანტურ მდგომარეობას იყენებდა ბოროტად, რითაც საზღვაო ხაზით სარგებლობის შესაძლებლობას ზღუდავდა. დავის საკითხი ასევე შეეხებოდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტს, რაც რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის გავრცელებაში გამოიხატებოდა. მოკვლევის შედეგების მიხედვით, არც ერთი მუხლით არ დადასტურდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა. სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება მხარეებს შეუძლიათ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში.

კონკურენციის ეროვნული სააგენტო, ამ დროისთვის, მოკვლევის ოთხ საქმეს სწავლობს – ფარმაციის, სწრაფი კვების, თამბაქოს და ბილეთების ელექტრონული რეალიზაციის ბაზრების მიმართულებით. 2023 წელს უწყებამ სამი მოკვლევა დაასრულა, სადაც ორ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის ფაქტი დადგინდა, ხოლო ერთ შემთხვევაში დადასტურდა შეთანხმებული ქმედება. ამავე პერიოდში, სააგენტომ ექვს საჩივარზე დაუშვებლობის გადაწყვეტილება მიიღო“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

მუშაობენ უნებართვოდ და უპასუხისმგებლოდ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური აგრძელებს აქტიურ საგამოძიებო მოქმედებებს ნებართვების გარეშე და სანებართვო პირობების დარღვევით მოქმედი აფთიაქების გამოვლენის მიზნით.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის ივნისს-აგვისტოს პერიოდში, თბილისის, სამეგრელოს, შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებში გატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, გამოვლენილ იქნა კანონდარღვევით მოქმედი 18 აფთიაქი.

გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დადგენილ იქნა, რომ ხსენებულ სააფთიაქო დაწესებულებებს არ გააჩნდათ საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ნებართვები, საიდანაც რეცეპტის გარეშე ახდენდნენ სხვადასხვა დასახელების ფსიქოტროპული და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების რეალიზაციას. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია დიდი ოდენობით ფსიქოტროპული მედიკამენტი, მათი რეალიზაციიდან მიღებული თანხა, ინფორმაციის შემცველი კომპიუტერული ტექნიკა და დოკუმენტაცია. ამ ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელებულია 33 პირის მიმართ.

ქართველი მძარცველები იტალიაში

იტალიაში, ბინების ძარცვის მრალდებით, საქართველოს რვა მოქალაქე დააკავეს, – ინფორმაციას იტალიური მედია ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს. საქართველოს მოქალაქეები ქალაქ სალერნოში დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, მათი უმეტესობა ქვეყანაში არალეგალურად იმყოფებოდა.

„კმაყოფილებას და მადლიერებას ვგრძნობ დღეს სალერნოში სახელმწიფო პოლიციის მიერ ჩატარებულ ოპერაციასთან დაკავშირებით, რომელიც დედაქალაქის პროკურატურის მიერ კოორდინირებული გამოძიების ნაწილი იყო. შედეგად, მოხდა ბინების ძარცვაში სპეციალიზებული დაჯგუფების წევრების დაკავება,“ – განაცხადა იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა, მატეო პანტედოსიმ.

შოვში საძიებო სამუშაოებში გრძელდება

რაჭაში, სტიქიის ზონაში სამძებრო სამუშაოები უკვე 29-ე დღეა, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. ამ დრომდე ნაპოვნი 31 მოქალაქის ცხედრიდან უკვე ყველა იდენტიფიცირებულია, – ამის შესახებ რაჭის გუბერნატორმა, პაპუნა მარგველიძემ განაცხადა. მისივე თქმით, ამ დროისთვის გრძელდება ორი მოქალაქის საძიებო სამუშაოები.

„სამძებრო ღონისძიებებო კვლავ გრძელდება. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს, სადაც ჩართულია ყველა უწყება და გაგრძელდება, ვიდრე იქნება მცირედი თეორიული შანსი დაკარგული მოქალაქეების პოვნის. არეალი გახლავთ უშუალოდ კურორტ შოვის ტერიტორია, ასევე გრძელდება საძიებო სამუშაოები მდინარე ჭანჭახისა და მდინარე რიონის კალაპოტში გუმათჰესამდე“, – განაცხადა პაპუნა მარგველიძემ. მისივე თქმით, გუშინწინ დღის მეორე ნახევარში იპოვეს ადამიანის ცხედრის ფრაგმენტი, რომელსაც ქუთაისის ექსპერტიზის ბიუროში დნმ-ის კვლევა უტარდება.



„თეთრი სახლი ანაკლიაში“

ანაკლიას პოპულარიზაცია აპალია, არამხოლოდ უცხოელმა ტურისტებმა, ქართველებმაც არ იციან ჩვენს შესახებ.

ზღვისპირეთში ზაფხულის ტურისტული სეზონი დასასრულისკენ მიდის, თუმცა წლევანდელი წელი ტურისტული ობიექტებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო, როგორც ვიზიტორების სიმცირის, ასევე კახოვკის ჰესის აფეთქების შემდეგ შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის ირგვლივ არსებული მითქმა-მოთქმის გამო.

როგორ მიმდინარეობს შავიზღვისპირეთში ტურისტული სეზონი, ამის შესახებ სასტუმრო „თეთრი სახლი ანაკლიაში“ დამფუძნებელმა მარინე თოდუამ ისაუბრა. მისი თქმით, ანაკლიის მთავარი პრობლემა ისაა, რომ კურორტს პოპულარიზაცია აკლია.

„ანაკლიაში ყველა სახის მიზნესი თავის მხრივ ყველაფერს აკეთებს დამსვენებელს კომფორტული გარემო და ხარისხიანი სერვისი შესთავაზონ, თუმცა სასტუმროს მიღმა კურორტზე ტურისტული ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელია.

კურორტს უამრავი გამოწვევა აქვს. მაგალითად, ხშირად ელექტროენერგიის არქონაა პრობლემა. ანაკლიის ცენტრალურ ქუჩას განათებები აკლია, გასაახლებელია ველობილიკები, მოსაგვარებელია მიუსაფარი ძაღლების პრობლემაც. სეზონის დაწყებამდე მიზნესთან ერთად ამ ყველაფრის მოწესრიგება უნდა ხდებოდეს.

ანაკლიას პოპულარიზაცია ძალიან აკლია, არამხოლოდ უცხოელმა ტურისტებმა, არამედ ქართველებმაც კი არ იციან ჩვენს შესახებ. მიმდინარე სეზონზე დატვირთულობა დაახლოებით 80%-მდე იყო, ამ მხრივ ივლისი-აგვისტოში უფრო მეტი სტუმარი გვყავდა, თუმცა სირთულეების მიუხედავად ფასები გასულ წელთან შედარებით არ გაძვირებულა“, – ამბობს მარინე თოდუა.

განწირულებს შუა ოკეანეში მსხვერპლად ქართველები მოევლინნენ...

ქართველმა მეზღვაურებმა კაპიტან ალეკო სურმანიძის მეთაურობით 10 ადამიანის სიცოცხლე იხსნეს. სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ინფორმაციას, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში ადასტურებენ.

კაპიტნის უფროსმა თანაშემწემ თენგიზ დიასამიძემ ატლანტის ოკეანეში, გიბრალტარის სრუტიდან 100 მილის დაშორებით მოდრეიფე ნავზე ადამიანები შენიშნა. მიგრანტები, მაროკოდან ესპანეთში ცდილობდნენ მოხვედრას, მაგრამ ამინდი გაფუჭდა, დინებამ სხვა მხარეს გაიტაცა და 9 დღის განმავლობაში საკვებისა და წყლის გარეშე იმყოფებოდნენ შუა ოკეანეში. ქართველი მეზღვაურების დახმარებით ათი ადამიანი გადაურჩა სიკვდილს. ისინი ესპანეთის სასაზღვრო პოლიციამ წაიყვანა. კაპიტან ალექსანდრე სურმანიძესთან ერთად, ეკიპაჟის შემადგენლობაში იყვნენ: თენგიზ დიასამიძე, გერასიმ სურმანიძე, საბა ბერიძე, უჩა ჭინკაძე, ირაკლი ასამბაძე, ირაკლი კონცელიძე, გიორგი ომერაძე, გიორგი გოგიტიძე, აჩი ჭინკაძე, აჩი ზაქარაძე, მამუკა ტოღონიძე, მირზა სურმანიძე და ლაშა მენაღარიშვილი.

ძალიან საფრთხილოა, რომ ბავშვებს არ წავართვათ ბავშვობა და ისინი არ აღვზარდოთ მხოლოდ მაღალი ელიტარული ნორმებით

(მერვე გვერდიდან) – ძალიან ხშირად, როცა ცნობილ მუსიკოსებს, კომპოზიტორებსა თუ შემსრულებლებს ჟურნალისტები ეკითხებიან, როდის მოასმენინა დედამ პირველად ამ ჟანრის მუსიკა, ისინი ძირითადად პასუხობენ, რომ მშობელმა, ჯერ კიდევ სულ პატარა ასაკში მოასმენინა კარგი მუსიკა და ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, თუმცა, მშობელს არ უნდა დაავიწყდეს ის ფაქტიც, რომ ადრეულ ასაკში ბავშვი გადის სოციალიზაციას და მას აქვს მოთხოვნილება, ეცვას ისე, როგორც აცვიათ მის თანატოლებს, ან იცოდეს ის საბავშვო სიმღერები, რომლებსაც მღერიან მასავით პატარა მისი მეგობრები... თუკი მშობლები შეძლებენ, იპოვონ ოქროს შუალედი და ბავშვებს მოასმენინონ გემოვნებიანი მუსიკაც და საბავშვო სიმღერებიც, ეს იქნება იდეალური გამოსავალი და მხოლოდ დადებითად იმოქმედებს ბავშვის გემოვნების ფორმირებაზე. თუმცა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან საფრთხილოა, რომ ბავშვებს არ წავართვათ ბავშვობა და ისინი არ აღვზარდოთ მხოლოდ მაღალი ელიტარული ნორმებით.

– თქვენ ახლა ახსენეთ, რომ რაღაც ასაკში ბავშვს მოსწონს ეცვას ისე, როგორც ყველას, ან უსმინოს იმას, რასაც ყველა უსმენსო... ანუ, ბავშვს აქვს მიდრეკილება, იყოს ისეთი, როგორიც ყველაა. თუმცა, ამის პარალელურად, სავარაუდოდ, მშობელს სურს, ბავშვს განუვითაროს ინდივიდუალიზმიც. როგორ უნდა ვიპოვოთ ეს ბალანსი, რომ რაღაც ასაკამდე ჩვენი ბავშვი ჰგავდეს მის თანატოლებს, თუმცა, არ ჩავკლათ მასში მისი განსხვავებულობა და თვითმყოფადობა?

– როცა ბავშვს ეწყება სწრაფვა ინდივიდუალიზმისკენ, ხშირად ამის შემჩნევა ადვილია, რადგან ჩემი დაკვირვებით, მას პროტესტი უჩნდება საკუთარი სახელის აღქმასთან დაკავშირებითაც კი. მშობელი ბავშვს არქმევს სახელს, მაგრამ როცა ის პირველად ხვდება სოციუმში, ეზოში ან საბავშვო ბაღში, ხვდება, რომ მისი სახელი სხვასაც ჰქვია და ერთ მშვენიერ დღეს, მშობელი აღმოაჩენს, რომ ბავშვმა გადაირქვა საკუთარი სახელი და სხვებს შეცვლილი ფორმით გააცნო თავი. ეს მშობლისთვის უნდა იყოს იმის ნიშანი, რომ ის თვითდამკვიდრებისთვის რაღაც ფორმას ეძებს და სჭირდება ცვლილება. ასე ხდება მისი სოციუმის გახლეჩვა, ანუ, ერთ ადგილას მისი პიროვნება ერთნაირია, მეორეგან კი, სრულიად სხვანაირი... აი, როცა ასეთი ტენდენციები იჩენს თავს, ეს მშობლისთვის უნდა იყოს მანიშნებელი, რომ მის შვილს აკლია თავისუფლება! მაგრამ, როცა ბავშვისთვის სულერთია, რას ჩააცმევს მშობელი, თმას როგორ გაუკეთებს ან რა სათამაშოთი ათამაშებს, მშობელს უნდა ენიშნოს, რომ აქ სამუშაო, პირიქით აქვს ჩასატარებელი და მათ ინდივიდუალიზმის დეტალები უფრო მეტად უნდა გაუღვივონ, რომ თავი არ აგრძნობინონ მუდმივად ერთფეროვნად, ინდიფერენტულად და მასის წევრად! მივდივართ იქამდე, რომ ორივე შემთხვევაში ზომიერება გადამწყვეტია. ხშირად შევხვდებით, როცა ბავშვს აქვს გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი და მშობელი მიმართულია, რომ ჩაახშოს, აღმოფხვრას მისი თვითიდენტიფიკაცია, რაც ძალიან არასწორი მიდგომაა! სწორი მშობლობა ისაა, აპოვნინო ბავშვს საკუთარი თავი და მისცე არჩევანის თავისუფლება.

– ქალბატონო ირინა, ძალიან დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის, დარწმუნებული ვარ, ბაღის ასაკის ბავშვების მშობლები ჩვენი დღევანდელი ინტერვიუდან ბევრ ახალს და საინტერესოს შეიტყობდნენ და იმედია, გაითვალისწინებენ კიდეც თქვენს რჩევებს!

„რეპორტიორი“

ღმერთის დედობა უკვე პოეზიაა

გია მურღულია:

რა საოცრებაა, ღმერთსაც რომ ჰყავს დედა - ყველა დედაში ღვთის-მშობელი ცოცხლობს

„მან „მიიძინა“ – რამდენი სიყვარული და რა დიდი იმედი ჩანს ამ ერთ სიტყვაში.

ეს მარიამია – დიდებული და უბრალო.

ყველა ადამიანზე აღმატებული და ყოველი სულისთვის მარადიული მლოცველი – კაცთა მეოხი ღვთის წინაშე.

ღვთისმშობელი – რა საოცრებაა, ღმერთსაც რომ ჰყავს დედა. მას ახარეს პირველად, რომ იესო დაიბადებოდა.

მან იხილა პირველი სასწაულიც და შვილის ჯვარცმის საშინელებაც. „ვაი, რა მწარედ იწვოდნენ ნაწლევნი მარიამისა!“

არ ყოფილა იმაზე ამაღლებული, ტრაგიკული და მშვენიერი დატირება, მიქელანჯელოს პიეტა რომ გამოაქანდაკებინა.

მარიამს მოევლინა თვით იესო მიძინების წინ.

ის მფარველობს სიკეთეს, სიცოცხლეს, სიყვარულსა და საქართველოს.

არავის რგებია წილად უფრო მეტი მეტაფორა, ვიდრე ღვთისმშობელს – ღმერთის დედობა უკვე პოეზიაა. ჩვენი „შენ ხარ ვენახი“ და „დავითიანი“ დაუსრულებლად უგალობენ ერთ უბრალო ქალს, რომლის დიდებამაც მთელ სამყაროს უწია.

ყველა დედაში ღვთისმშობელი ცოცხლობს. ქართველებო, გილოცავთ მარიამობას!“ – ამ პოსტით მიულოცა მარიამობის დღესასწაული ქართველ ხალხს ფილოლოგიის დოქტორმა **გია მურღულიამ.**

იაპონური თოჯინები სიღნაღს სტუმრობენ

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით, იაპონიის ფონდის ორგანიზებითა და საქართველოში იაპონიის საელჩოს ხელშეწყობით სიღნაღის მუზეუმი მასპინძლობს გამოფენას „იაპონიის თოჯინები“.

იაპონიის ფონდის მისიაა, ხელი შეუწყოს მსოფლიოსთან იაპონიის კულტურული ურთიერთობის გაღრმავებას. იაპონური ხელოვნებისა და კულტურის უცხოეთისთვის გასაცნობად ფონდი განუწყვეტლივ ახორციელებს „მოგზაური გამოფენის“ პროგრამას, რომელიც მოიცავს ფონდის კოლექციის ნამუშევრებს და ყოველწლიურად მსოფლიოს დაახლოებით 80 მუზეუმსა და საგამოფენო სივრცეში ტარდება.

„NINGYO – იაპონური თოჯინების ხელოვნება და სილამაზე“ ძალიან პოპულარული „მოგზაური გამოფენაა“. თოჯინების კულტურა, რომელიც იაპონიის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბდა, წარმოდგენილია კატაშიროდან და ამაგაცუდან ჩამოტანილი 67 რჩეული თოჯინით, რომლებიც იაპონური თოჯინების არქეტიპებად ითვლება. სიღნაღის მუზეუმს იაპონიის ფონდსა და იაპონიის საელჩოსთან ხუთწლიანი თანამშრომლობა და მეგობრობა აკავშირებს. სწორედ აქ მოეწყო 2017 წელს იაპონიის თოჯინების „მოგზაური გამოფენა“. მას შემდეგ იაპონიის საელჩოს ინიციატივით გაიმართა იაპონელი ხელოვანისა და კალიგრაფისტის, აკემი ლუკასის, მხატვარ-ილუსტრატორ ტაკეჰიდე ჰარადას, დიპლომატისა და მოყვარული ფოტოგრაფის, იმანიში ტაკაოს, ნამუშევართა გამოფენები. ექსპოზიციას მუზეუმი 17 ოქტომბრამდე უმასპინძლებს.

საზაფხულო კონცერტი სურამში

25 აგვისტოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და ორგანიზებით, სურამის კულტურის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე საზაფხულო კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ჯგუფებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა. ინფორმაციას ხაშურის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

„ჯგუფებმა spam jam,no time გეთლემმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა სოფო საჯინიანმა და ნინი მალხაზიშვილმა საოცარი მუხტი, ენერგია და „დრაივი“ შემოიტანეს და კონცერტი უფრო ლამაზი და ყურებადი გახადეს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

„რანინას“ გამარჯვებული საბავშვო ევროვიზიაზე წარგვადგენს

საბავშვო ევროვიზია 2023-ში, რომელიც ნიცაში 26 ნოემბერს გაიმართება, 16 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. წელს პირველად კონკურსს ესტონეთი შეუერთდა.

საბავშვო ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ: საქართველო, ჩრდილოეთ მაკედონია, ესტონეთი, უკრაინა, ალბანეთი, სომხეთი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, იტალია, მალტა, ნიდერლანდები და დიდი ბრიტანეთი. საბავშვო ევროვიზია 2023-ის სლოგანი იქნება „გმირები“. კონკურსი კი Palais Nikana-ს დარბაზში გაიმართება. წელს კონკურსზე საქართველოს ანასტასია ვასაძე წარადგენს. იგი საქართველოს პირველი არხის პროექტის, „რანინას“ გამარჯვებული გახდა. რიგით 21-ე საბავშვო ევროვიზია საფრანგეთის ქალაქ ნიცაში 26 ნოემბერს გაიმართება. საქართველო საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსის გამარჯვებული სამჯერ გახდა.

ქართველისგან უარყოფილი ვარსკვლავი დაქორწინდა

სერიალ „გაქცევის“ ვარსკვლავმა დომინიკ პარსელმა ქართველი მოდელის, ლიკუნა ხაჭაპურიძის უარის შემდეგ ცოლად მაილი საირუსის დედა, ტიშ საირუსი შეირთო. ვარსკვლავური ქორწილი მალიმუში ორი დღის წინ გაიმართა.

როგორც ცნობილია, დომინიკ პარსელი საქართველოში 5 წლის წინ იმყოფებოდა. ის 2019 წელს მოდელ ლიკუნა ხაჭაპურიძის გასაცნობად ჩამოვიდა. მოდელის თქმით, პარსელმა საქართველოში 1 კვირა გაატარა, ქართულ კულტურას გაეცნო და ლიკუნას გადაღებებსაც დაესწრო. მაშინ ლიკუნა ხაჭაპურიძე ჟურნალ „თბილისელებთან“ ინტერვიუში აცხადებდა, რომ დომინიკი გადამღებ ჯგუფთან ამბობდა, რომ მას მოდელის ცოლად შერთვა სურდა, თუმცა, ლიკუნამ მეგობრობა არჩია, რის მიზეზადაც 26-წლიანი ასაკობრივი სხვაობა დაასახელა.

წარმოსახვაც ამას ჰქვია

იაპონელი ნანამი Seven Seas ნაგურა წარმოსახვით გიტარაზე დაკვრაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ნაგურამ 35,8 ქულა დააგროვა და უკვე მესამედ მიიღო მონაწილეობა ჩემპიონატში, რომელშიც 2014 წლიდანაა ჩართული.

ჩემპიონატი ყოველწლიურად ფინეთში, ქალაქ ოულუში იმართება. მონაწილეები გიტარაზე დამკვრელების მოძრაობების იმიტირებას ახდენენ და წარმოსახვით გიტარაზე „უკრავენ“. მათ ფონოგრამაზე ან ცოცხლად სიმღერაც შეუძლიათ. კონკურსი ორი ეტაპისგან შედგება. პირველ ეტაპზე მონაწილეები წინასწარ მომზადებულ ერთწუთიან კომპოზიციას „უკრავენ“, მეორე ეტაპზე კი მათ ორგანიზატორების მიერ შერჩეული ფონოგრამის თანხლებით იმპროვიზაცია უწევთ. წარმოსახვით გიტარაზე დაკვრაში მსოფლიო ჩემპიონატი პირველად 1996 წელს ჩატარდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ი
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35
მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04
ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 4 სექტემბერს

შცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6292; ევრო - 2.8621;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3257;
100 რუბლი - 2.7405; თურქული ლირა - 0.0988;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5476;
1000 სომხური დრამი - 6.8045

ამინდი 31 აგვისტოსთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +14, დღე +33
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +32
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +21, დღე +37
მთიანი რაიონები - ღამე +16, დღე +37
თბილისი: ღამე +18, დღე +32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge